პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მზრუნველთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 58 (10755) | შაბათი, 9 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ალვკვეთოთ დანაკარგები საწარმოებში, ვიბრძოლოთ მომჭირნეობისათვის

ჩვენი ქვეყნის მშრომელები, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, მთელ თავიანთ შემოქმედებით ძალებს ახმარენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა განსაზღვრა შრომისა და მატერიალური რესურსების, აგრეთვე ფულადი სახსრების სახალხო მეურნეობაში უფრო რაციონალურად გამოყენების გზები და მიგვითითა, რომ მომჭირნეობა შრომის, მატერიალური და ფულადი სახსრების ხარჯვაში, პროდუქციის თვითღირებულებისა და მშენებლობის ღირებულების სისტემატური შემცირება წარმოების ზრდის მაღალი ტემპებისა და სოციალისტური დაგროვების გადიდების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

იმ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება, რომელიც მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის დირექტივებით არის გათვალისწინებული, მოითხოვს კოლოსალური სახსრების დაბანდებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და, მაშასადამე, სახსრების ყველა ღონისძიებით დაგროვებას, ამ დაგროვების წყაროების გაფართოებას უწინარეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების გადიდებით, პროდუქციის გამოშვების ზრდით და თვითღირებულების შემცირებით. ამოცანა ის არის, რომ ყველგან უზრუნველყოთ სახელმწიფო გეგმების სანმუშოდ შესრულება მრეწველობის, მშენებლობის, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების შინარეზერვების რაც შეიძლება სრულად გამოყენების საფუძველზე.

1956 წლის, აგრეთვე მიმდინარე წლის განვლილი თვეების შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს დაგეგმილი დაგროვების მიღებას, ზარალი აქვს. საწარმოთა ზარალიანობა ეწინააღმდეგება სოციალისტური მეურნეობის გაძღოლის პრინციპებს.

მთავარი ახლა ის არის, რომ თვითეული საწარმო რენტაბელურად მუშაობდეს. საზოგადოებრივი გაკიცხვის ღირსნი არიან ის სამეურნეო ხელმძღვანელები, რომელთა ცუდი მუშაობის შედეგად სახელმწიფო ზარალს ნახულობს.

რესპუბლიკის საწარმოთა უმრავლესობა კარგად მუშაობს, ფართოდ ნერგავს მოწინავეთა გამოცდილებას, მაქსიმალურად იყენებს მოწყობილობას, ზრდის შრომის ნაყოფიერებას, ადიდებს პროდუქციის გამოშვებას, ყაირათიანად ხარჯავს ნედლეულს, მასალებს, სათბობს და ამით მკვეთრად ამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას, უზრუნველყოფს დაგროვების გეგმის შესრულებას. მაგალითად, 1956 წელს თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის კოლექტივმა დაზოგა 92,9 ტონა ნახავი, 80.4 ტონა ძაფი, 1.795 ტონა პირობითი სათბობი, 841 ათასი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება, შეამცირა წუნი. ყოველივე ამის შედეგად გასულ წელს კომბინატმა სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 8.900 მეტრი ხამი ქსოვილი და საგრძნობი ზეგეგმითი დაგროვება. ასეთი საწარმოები სხვაც ბევრია.

მაგრამ არიან ისეთი საწარმოებიც, რომლებიც ჯერ კიდევ უშვებენ წუნს, სუსტად ნერგავენ მოწინავეთა გამოცდილებას, ჯეროვნად არ ზრუნავენ დანაკარგების აღმოფხვრისათვის. მაგალითად, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, რომელიც ერთ-ერთი დიდი და მოწინავეა რესპუბლიკაში და რომელმაც გასული წლის გეგმა ცუდი მაჩვენებლებით როდი შეასრულა, დანაკარგებთან ბრძოლას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ლითონის სიუხვე ქვეყნის ეკონომიური სიძლიერის მთავარი მაჩვენებელია. ლითონის მომჭირნეობით გამოყენება, დანაკარგების აღმოფხვრა კი საქვეყნო მნიშვნელობის ამოცანაა. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა მრავალი ტიპისა და დანიშნულების ჩარხებს უშვებს. ერთ-ერთ ასეთ ჩარხს 130-ზე მეტი დეტალი აქვს. ერთი მათგანის, მაგალითად, კბილანას სუფთა წონა, როდესაც იგი დამონტაჟებულია ჩარხის გარკვეულ კვანძში, უდრის 23 კილოგრამს, ხოლო ჩამოსხმისას მისი წონა 44 კილოგრამს აჭარბებს. მაშასადამე, დამუშავების პროცესში დეტალს უნდა ჩამოაცალონ 21 კილოგრამი ლითონი, რომელიც იკარგება. ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ დეტალის ასეთი ზომმეტობით ჩამოსხმა ზრდის მის შრომატევადობას და, მაშასადამე, თვითღირებულებასაც. 1956 წელს ქარხანაში ლითონის დანაკარგმა გამოშვებული ჩარხების საერთო წონის თითქმის ნახევარი შეადგინა. ჩარხმშენებლებს ყველა პირობა აქვთ იმისათვის, რომ აღმოფხვრან წუნი, შეამცირონ ზომმეტობით დეტალების ჩამოსხმა და დაზოგილი ლითონი გამოიყენონ ზეგეგმითი ჩარხების გამოსაშვებად.

იმ დიდ ამოცანებს შორის, რომლებსაც ახლა წყვეტს საბჭოთა ხალხი, ლითონის ეკონომიისათვის ბრძოლასთან ერთად ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილზე უნდა დავაყენოთ სათბობის, ელექტროენერგიის, მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით, მოფიქრებულად გამოყენების საკითხები. ახლაც მთელი რიგი საწარმოების ხელმძღვანელები საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ მათ შემოაკლდათ მაღალხარისხოვანი ქვანახშირი და შეფერხებას განიცდიან, ხოლო ის კი ავიწყდებათ, რომ თავის დროზე დაბალხარისხოვანი ქვანახშირის მაღალხარისხოვანში შეზავებისას წინდახედულობას არ იჩენდნენ.

ჩვენი ქვეყნის მილიონობით მშრომელები, აქტიურად მონაწილეობენ რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, წარმოებისადმი ნამდვილი ყაირათიანი დამოკიდებულების ნიმუშებს გვიჩვენებენ. სხვადასხვანაირია ვალდებულებანი, რომლებიც ფაბრიკა-ქარხნების, შახტების მშენებელთა, კოლმეურნეობათა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა იკისრეს. მაგრამ მათ ყველას აერთიანებს საერთო მიზანი — გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, რაც, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის.

სამრეწველო საწარმოების ყველა შესაძლებლობის წარმატებით გამოყენების ინტერესები მოითხოვს მეურნეობის სოციალისტური გაძღოლის მეთოდების შემდგომ გაუმჯობესებას, საქმის რაციონალურად მოწყობას ეკონომიკის ყველა დარგში.

ამ უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეში დიდი როლი უნდა შეასრულონ ადგილობრივმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. მომჭირნეობისათვის ყოველდღიურ ბრძოლაში მათ აქტიურად უნდა ჩააბან მშრომელთა ფართო მასები, აღზარდონ ყველა მუშაკი ხელგაშლილობისა და საზოგადოებრივი ქონების განიავებისადმი შეუწყნარებლობის სულისკვეთებით. სახსრების, მასალების, ნედლეულისა და სათბობის მომჭირნეობის, ადამიანთა შრომისა და ტექნიკური დანადგართა გამოყენების უკეთესი ორგანიზაციის საკითხები უნდა განიხილონ საწარმოო თათბირებზე, პარტიულ, მუშათა კრებებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ საქმეში მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას.

ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ზეგეგმითი დაგროვებისა, რომელიც ხმარდება ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების განუხრელ აღმავლობას, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების საქმეს.

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება

8 მარტს მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების კრება საბჭოთა არმიის წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ქალთა საერთაშორისო დღისადმი.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს კ. ე. ვოროშილოვს, ლ. მ. კაგანოვიჩს, ა. ი. მიკოიანს, მ. გ. პერვუხინს, მ. ზ. საბუროვს, მ. ა. სუსლოვს, ფ. ტ. შეპილოვს, ე. ა. ფურცევას, რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

კრება გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ზ. ვ. მირონოვამ.

სიტყვები წარმოთქვეს შჩერბაკოვის სახელობის ბრიგადამ, ტექსტილეგის მეცნიერებათა დ. ტ. ელიზაროვამ, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის გულმკერდის ქირურგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, მრავალშვილიანმა დედამ ა. დ. სობოლევამ, № 124 სკოლის მასწავლებელმა ტ. ი. მარტინოვამ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა კორესპონდენტმა პ. ი. კოჩინამ და სხვებმა.

თავიანთ დედებს და უფროს დებს მიესალმნენ პიონერები.

* * *

ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები 8 მარტს გაიმართა კიევში, ალმა-ატაში, ტაშკენტში, ფრუნზესა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

საბჭოთა მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა მხურვალე, გულის სიღრმიდან მომდინარე სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა მხატვრები უდიდესი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ მათი შემოქმედებითი შრომის მაღალ შეფასებას, რომელიც მოცემულია კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში.

საბჭოთა სახვითი ხელოვნების მთელი ისტორიის მანძილზე პარტია ბრძნულად წარმართავდა ჩვენს ხელოვნებას ერთადერთი სწორი გზით — ცხოვრების სიმართლის, ხალხისადმი სამსახურის გზით. დიდი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მხატვართა სახელით უდიდეს მადლობას ვუძღვნით მშობლიურ კომუნისტურ პარტიას საბჭოთა ხელოვნების განვითარებასა და აყვავებაზე მისი ზრუნვისათვის.

დიდი ლენინი, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია გვასწავლიდნენ და გვასწავლიან ჩვენ, მხატვრებს, თავდადებით ვემსახუროთ ხალხს. ახალი ცხოვრების მშენებლობის ყველა ეტაპზე საბჭოთა მხატვრები ხალხთან ერთად იყვნენ. საბჭოების ქვეყნის მუშათა და გლეხთა საბრძოლო და შრომითი საქმეები შთაგვაგონებდნენ და შთაგვაგონებენ დიდი სიმართლის, მაღალი კომუნისტური იდეურობით გამსჭვალული ნაწარმოებების შესაქმნელად.

სოციალისტური რეალიზმის ხელოვნება იწრთობოდა ბრძოლაში ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მახინჯ გამოვლინებათა წინააღმდეგ. ჩვენ მუდამ გვახსოვს პარტიის მითითება, რომ ერთი წუთითაც არ შეიძლება შევასუსტოთ ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ.

იმპერიალიზმი გააფთრებით უტევს მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკს, რომელსაც საბჭოთა კავშირი მეთაურობს. იმპერიალიზმის იდეოლოგები არავითარ საშუალებას არ თაკილობენ. ისინი მიმართავენ მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დისკრედიტაციის უაღრესად საზიზღარ ხერხებს. ეს გვავალებს ჩვენ, მხატვრებს, ვიყოთ განსაკუთრებით ფხიზელნი უცხო გავლენების გამოვლინებისადმი, არ დავუშვათ ჩვენს წრეში ამოლიტიკურობა, ესთეტობა, ფორმალიზმი, ნატურალისტური ამსახველობა.

საბჭოთა ხელოვნებას წილად ხვდა დიდი პატივი — იყოს რეალიზმის დასაყრდენი თანამედროვე მსოფლიო სახვითს ხელოვნებაში. პირობას ვაძლევთ პარტიას პირნათლად შევასრულოთ ეს საპატიო მისია, არ დავიშუროთ ძალები ჩვენი ხელოვნების იდეური სიწმინდისა და მაღალი მხატვრულობისათვის ბრძოლაში.

ბრძოლაში სხვადასხვა ესთეტურ-ფორმალისტური მიმდინარეობისა და ნატურალისტური დამახინჯების წინააღმდეგ საბჭოთა სახვითს ხელოვნებაში საბოლოოდ გაიმარჯვა სოციალისტური რეალიზმის მეთოდმა, რომელიც მხატვრის ყურადღებას მიაპყრობს ცხოვრების ღრმა პროცესებს და უმნიშვნელოს უსაზღვრო შესაძლებლობებს გაბედული შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენისათვის, შემოქმედებითი ინდივიდუალობის ყოველმხრივ განვითარებისათვის.

კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს მაღალშინაარსიანი და სრულყოფილი ფორმით ვუჩვენოთ კომუნიზმის იდეების სილამაზე და სიდიადე, ჩვენს ნაწარმოებებში განვასახიეროთ საბჭოთა ადამიანის შრომითი საქმიანობისა და ცხოვრების მთელი მრავალფეროვნება, აღვბეჭდოთ სოციალისტური საზოგადოების ისტორიული გზა, ჩვენი თანამედროვის, მებრძოლისა და ახალი ცხოვრების მშენებლის მდიდარი სულიერი სახე. მხატვრების ნაწარმოებნი საბჭოთა ადამიანებს უნდა უნერგავდნენ პატრიოტულ გრძნობებს, ამკვიდრებდნენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეებს, განამტკიცებდნენ უაღრესად კეთილშობილურ ზნეობრივ მისწრაფებებს.

ყრილობამ მოუწოდა ყველა მხატვარს უფრო გაბედულად მოჰკიდონ ხელი თანამედროვეობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი თემების გადაჭრას, შექმნან ეპიკური ტილოები, სკულპტურული კომპოზიციები, გრაფიკული სადაზგო სერიები, რომელთა შინაარსი იქნება ხალხის ცხოვრების პროცესების უდიდესი გაქანება, დიდი რევოლუციური გარდასახვა [illegible] დაკავშირებული სულიერი ზრდა საბჭოთა ადამიანისა. მათ უნდა დაიკავონ წამყვანი ადგილი 1957 წლის სრულიად საკავშირო [illegible] — [illegible] ციაში და მხატვრების მთელ შემდგომ მუშაობაში.

ჩვენმა ყრილობამ დაამთავრა მუშაობა საბჭოთა კავშირის მხატვრების ერთიანი, მრავალეროვანი ორგანიზაციის შესაქმნელად.

პარტიამ ხელოვნების მოღვაწეებს დაუსახა ამოცანა — მიაღწიონ იმას, რომ ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება მსოფლიოში პირველი გახდეს არა მარტო შინაარსის სიმდიდრით, არამედ აგრეთვე მხატვრული ძალითა და ოსტატობით. მხატვრების მოვალეობაა მთელი თავიანთი მუშაობა დაუქვემდებარონ ესოდენ დიდი და საპატიო ამოცანის შესრულებას, და ჩვენ არ დავიშურებთ ძალებსა და შრომას ამისათვის.

საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების პირობებში ჩამოყალიბდა მხატვრის ახალი ტიპი, რომელიც მთელი ცხოვრებით, მთელი თავისი ფიქრებითა და გრძნობებით დაკავშირებულია ხალხთან. ჩვენს შემოქმედებას ასაზრდოებს ხალხის ცხოვრების, მისი სიბრძნისა და სილამაზის ცხოველმყოფელი წყაროები. და ღირსეულად რომ გამოხატონ საბჭოთა ადამიანის სულიერი სამყაროს სიმდიდრე, ძალა და სილამაზე სახვითი ხელოვნების საშუალებებით, ფერმწერებს, სკულპტორებს, გრაფიკოსებს უნდა ჰქონდეთ მახვილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გრძნობა, უნდა შეეძლოთ ღრმად შეიგნონ და გაიაზრონ ის რთული პროცესები, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში ხდება.

შეუპოვარი შრომა დიდ კულტურასთან და დიდ ოსტატობასთან ერთად უზრუნველყოფს კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის შესაფერის მაღალმხატვრულ ნაწარმოებთა შექმნას.

ყრილობამ მოუწოდა სახვითი ხელოვნების ყველა შემოქმედებითს ორგანიზაციასა და დაწესებულებას ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მხატვართა მასების იდეურ-პოლიტიკურ ზრდას, ყოველმხრივი სისტემატური დახმარება გაუწიონ რეალისტური ოსტატობის დაუფლებაში. საბჭოთა მხატვრები კიდევ უფრო თანმიმდევრულად განავითარებენ კლასიკური რუსული და მსოფლიო ხელოვნების ტრადიციებს, სსრ კავშირის მომძე ხალხთა ხელოვნებას, ახალი გამოცდილებით გაამდიდრებენ საბჭოთა სახვითი ხელოვნების ტრადიციებს.

ჩვენ გვახსოვს ჩვენი დიდი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და პირობას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ბოლომდე აღმოვფხვრათ ყველა ნაკლი, რომლებიც აბრკოლებენ საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებას, მთელი სიმტკიცით მოვუღოთ ბოლო ჯგუფობრიობასა და სექტანტურ განცალკევებულობას მხატვართა შორის, კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმოთ ჩვენი რიგები სოციალისტური რეალიზმისა და ხელოვნების ხალხურობის ურყევი პრინციპების საფუძველზე.

ჩვენ მოვუწოდებთ საბჭოთა კავშირის ყველა მხატვარს ჩაებან აქტიურ მუშაობაში იმ გადაწყვეტილებებისა და გეგმების განსახორციელებლად, რომლებიც მხატვრების პირველმა სრულიად საკავშირო ყრილობამ შეიმუშავა, და პირობას ვაძლევთ კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საბჭოთა მხატვრები პირნათლად მოიხდიან ვალს ხალხის წინაშე, შექმნიან კომუნიზმის მშენებლობის დიადი ეპოქის შესაფერ ნაწარმოებებს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

საბჭოთა მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობა

საბჭოთა მხატვრების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე

7 მარტს ყრილობის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირის წესდების პროექტის შესახებ მოხსენებისა და სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის შესახებ მოხსენების გამო. სიტყვა ეძლევა დ. გენინს (მოსკოვი).

წესდების პროექტის ნაკლი, დ. გენინის აზრით, ის არის, რომ კონტროლი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი გადაეცემა საბჭოებს, ეს უნდა გააკეთოს გაგიერბამ. კავშირის წევრად მიღების უფლება უნდა მიეცეთ რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის კავშირებს. ორატორი წინადადებას იძლევა წესდების პროექტს დაემატოს მუხლი, რომელიც კავშირის ყოველ წევრს უფლებას აძლევს წელიწადში ერთხელ აჩვენოს გამოფენებზე თავისი ნაწარმოებნი საკუთარი არჩევით. იგი რჩევას იძლევა გამოიცეს საბჭოთა მხატვრების ლექსიკონი, აგრეთვე შეიქმნას წელიწდეული, რომელშიც შევა ცნობები კავშირის წევრებს მიერ შესრულებულ ყველა ნამუშევარზე, აგრეთვე შეიქმნას ხელოვნების ცენტრალური არქივი, სადაც შეინახება ნიჭიერ მხატვართა ნაწარმოები.

დელეგატ ვ. როსტოცევს (მოსკოვი) მიაჩნია, რომ ყრილობამ უნდა იფიქროს კავშირის წევრობის კანდიდატთა მდგომარეობაზე, განსაკუთრებით პერიფერიებში. კანდიდატებად მიღებულ ბევრ ახალგაზრდა მხატვარს სხვადასხვა მიზეზით შესაძლებლობა არა ჰქონდა წლის განმავლობაში შემოქმედებითად გამოჩინა თავი. იგი წინადადებას იძლევა შეიქმნას საჭირო პირობები, რათა მხატვარმა ახალგაზრდამ ნაყოფიერი მუშაობით შეძლოს მიიღოს კავშირის წევრად გახდომის უფლება.

შემდეგ გამოსული მ. ბაბურინი (მოსკოვი) წინადადებას იძლევა დაწესდეს სამხატვრო საბჭოების არჩევითობა კავშირის განყოფილებებში. ვ. ბონდარენკოს (უკრაინა) საჭიროდ მიაჩნია საბჭოთა მხატვრების კავშირის წესდების პროექტში შეტანილ იქნას პუნქტი, რომ არქიტექტორება უფლება ჰქონდეთ ერთსა და იმავე დროს მხატვართა კავშირის წევრებიც იყონ.

ვ. ფავორსკი (მოსკოვი) გამოთქვამს აზრს, რომ საჭიროა შენარჩუნებულ იქნას მხატვართა კავშირის წევრობის კანდიდატთა ინსტიტუტი, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხატვრო უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებული სტუდენტების შემოქმედებითი აღზრდისა და კავშირის წევრად მიღების მომზადებისათვის.

მოსკოველი და ლენინგრადელი გრაფიკოსების სახელით ს. ჩეზოვი (მოსკოვი) ამბობს, რომ საჭიროა გადაისინჯოს კანონმდებლობა მხატვართა საავტორო და შრომითი უფლების საკითხებზე. დებულება მათი შრომის შესახებ გამომცემლობებსა და მრეწველობაში, მოწესრიგდეს შვებულების საკითხი.

გ. გიურჯიანი (სომხეთი) მხარს უჭერს წინათ გამოსულ დელეგატთა წინადადებას, რომ ადგილობრივ რესპუბლიკურ და საოლქო ორგანიზაციებს მიეცეთ საბჭოთა მხატვრების კავშირში წევრთა მიღების უფლება. შემდეგ იგი მოუწოდებს მეტი ყურადღება მიაქცეონ ახალგაზრდობის შემოქმედებას.

ლენინგრადელ დელეგატს კ. სობოლევსკის მიაჩნია, რომ სამხატვრო ფონდმა ყოველი ლონისძებით უნდა გააჩაღოს თავისი საქმიანობის შემოქმედებითი მხარე, მაგრამ არ უნდა შეკვეცოს საწარმოო ბაზა. მტკიცე ბრძოლა უნდა გაჩაღდეს ანტიხატვრული პროდუქციის წარმოების წინააღმდეგ და მოეწყოს მხოლოდ იმ პროდუქციის გამოშვება, რომელიც მშრომელებს ესთეტიკურ გემოვნებას განუვითარებს.

ამით დამთავრდა კამათი წესდების პროექტისა და სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის შესახებ მოხსენებათა გამო.

მომხსენებლები უარს ამბობენ საბოლოო სიტყვაზე. სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირის წესდებისა და სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის წესდებას შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარე დ. სუსლოვი (მოსკოვის ოლქი) ამბობს, რომ კამათში გამოთქმული იყო ბევრი საქმიანი შენიშვნა და წინადადება. იგი წინადადებას იძლევა ძირითადად დამტკიცდეს წესდებათა პროექტები და მიენდოს კომისიას დაამთავროს მათზე მუშაობა დელეგატთა შენიშვნებისა და წინადადებების შესაბამისად.

ყრილობა იღებს საბჭოთა მხატვრების კავშირისა და სსრ კავშირის სამხატვრო ფონდის წესდებებს მთლიანად და მათს საბოლოო დამტკიცებას ავალებს საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობას.

ყრილობას დღის წესრიგის პირველ პუნქტზე რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის თავმჯდომარე ა. პაშჩენკო აქვეყნებს ყრილობის რეზოლუციის პროექტს. ყრილობა ამტკიცებს რეზოლუციას შესწორებებითა და დამატებებით.

ამით მთავრდება ყრილობის დილის სხდომა.

* * *

7 მარტს კრემლის დიდი სასახლის სხდომათა დარბაზში საღამოს 6 საათზე გაიხსნა საბჭოთა მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის საბოლოო სხდომა.

დამსწრენი მხურვალე ტაშით ხვდებიან პრეზიდიუმში ამხანაგებს ლ. მ. კაგანოვიჩის, ვ. მ. მოლოტოვის, მ. ზ. საბუროვის, მ. ა. სუსლოვის, ლ. ი. ბრეჟნევის, დ. ტ. შეპილოვის, ე. ა. ფურცევას, პ. ნ. პოსპელოვის გამოჩენას.

სხდომაზე გამოქვეყნდა სსრ კავშირის საბჭოთა მხატვრების კავშირის გამგეობისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების შედეგები. გამგეობის წევრებად არჩეულია 99 კაცი, ხოლო სარევიზიო კომისიაში — 25 კაცი.

ამის შემდეგ გამოდის სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ბ. ვ. იოგანსონი. იგი მისასალმებელი სიტყვით მიმართავს ყრილობის დამსწრე უცხოელ მხატვრებს.

შემდეგ სსრ კავშირის სახალხო მხატვარი ქ. თ. იუონი კითხულობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მხატვართა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის წერილის ტექსტს. ყრილობის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით გამოხატავენ თავიანთ მოწონებას.

ტრიბუნაზეა რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარი ს. ტ. კონენკოვი. მან თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო!

მთელი საბჭოთა ხალხი ადევნებდა თვალყურს საბჭოთა მხატვრების პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის მუშაობას. მადლობა ჩვენს ბრძენ პარტიას, ჩვენს მთავრობას, საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელს. (მქუხარე ტაში).

მადლობას ვუძღვნით ყრილობის სტუმრებს — სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომგზავნელებს — იმისათვის, რომ ისინი აქ, ჩვენთან ერთად არიან ჩვენს ოჯახში. (ტაში).

ჩვენთვის სასიხარულოა იმის შეგნება, რომ საბჭოთა მხატვრების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობაზე გამფეფული იყო ხალხისადმი სამსახურისა და ხელოვნებისადმი მხურვალე სიყვარულის ატმოსფერო. (ტაში). ჩვენ ერთსულოვანი ვართ იმაში, რომ მაღლა გვიჭირავს სოციალისტური რეალიზმის დროშა.

ძმები მხატვრებო, სახელი გავუთქვათ ჩვენს ძვირფას, მშვენიერ, საყვარელ სამშობლოს. (ტაში).

სანამ აქ ისტორიულ დარბაზს დავტოვებდეთ, თვალებში შევხედოთ ერთმანეთს, ვიგრძნოთ ერთმანეთის გულისცემა და ჩვენი მოწოდების მთელი კეთილშობილება. მთელი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა ჩვენი შრომისათვის. ყოველ ჩვენგანს აქვს ნიჭის თავისი ნაპერწკალი, ხოლო როცა ყველანი ერთად ვართ — ეს არის ძლიერი ალი! (ხანგრძლივი ტაში). რა ბევრი რამის გაკეთება შეგვიძლია! ჩვენთან არიან მთელი მსოფლიოს პროგრესული მხატვრები.

ვუსურვოთ ერთმანეთს კეთილნაყოფიერი შთაგონება კომუნიზმის განხორციელებისათვის.

წინ მსოფლიო ხელოვნების მწვერვალებია საკენ! (მქუხარე ტაში).

ს. ტ. კონენკოვი საბჭოთა მხატვრების პირველ სრულიად საკავშირო ყრილობას დახურულად აცხადებს. დარბაზში იმართება ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან. (საკდესი).

დიდი ქართველი მწერლის ილია ჭავჭავაძის იუბილესათვის

საიუბილეო კომიტეტში

1957 წლის შემოდგომაზე სრულდება დიდი ქართველი მწერლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 120 წლისთავი და გარდაცვალების 50 წლისთავი. ამასთან დაკავშირებით მოეწყობა მწერლის იუბილე.

ილია ჭავჭავაძის იუბილე აღინიშნება როგორც დიდი სახალხო დღესასწაული, როგორც უდიდესი მოვლენა რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძის იუბილეს მოსაწყობად შექმნილია საიუბილეო კომიტეტი, რომელშიც შედიან: დ. ვ. მჭედლიშვილი (თავმჯდომარე), ა. ა. ავაზაშვილი, ი. ბ. აბაშიძე, ა. მ. ბალანჩივაძე, დ. მ. გამეზარდაშვილი, თ. ზ. გაფეზი (გაგლოევი), გ. ა. გეგეშიძე, ი. გ. გრიმაშვილი, ა. ლ. გუნია, შ. ნ. დადიანი, თ. ბ. ჯანელიძე, უ. მ. ჯაფარიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, პ. ი. ინგოროყვა, მ. ა. კვესელავა, კ. ს. კეკელიძე, ვ. დ. კუპრაძე, მ. ი. კუჭავა, გ. ნ. ლეონიძე, ა. ე. მელაძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, გ. ს. ფირცხალავა, ზ. ნ. პოლოსიანი, გ. ს. სეხნიაშვილი, ს. ი. ჩიქოვანი, დ. ი. ჩხეიკვიშვილი, ი. ი. ჩხეიკვიშვილი, ა. გ. შანიძე, ა. ი. შანშიაშვილი, ბ. ვ. შინკუბა.

საიუბილეო კომიტეტმა შეიმუშავა დიდი მწერლის იუბილეს აღნიშვნის ღონისძიებანი.

ამა წლის ოქტომბერში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მოეწყობა საზეიმო საიუბილეო საღამო. ღირსშესანიშნავ მოვლენას მიეძღვნება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საიუბილეო პლენუმი. იუბილესთან დაკავშირებით სამეცნიერო სესიებს გამართავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და რესპუბლიკის სხვა უმაღლესი სასწავლებლები.

იუბილესათვის გათვალისწინებულია განხორციელდეს მთელი რიგი გამოცემები. უნდა დამთავრდეს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოცემა ქართულ ენაზე. გარდა ამისა გამოშვებული იქნება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა დასურათებული ერთტომეული და მისი ცალკე ნაწარმოებნი.

ილია ჭავჭავაძის რჩეულ თხზულებათა დასურათებული ერთტომეული და ცალკე ნაწარმოებთა მასობრივ-პოპულარული გამოცემა გამოვა აგრეთვე რუსულ ენაზე. გამოიცემა მონოგრაფია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ქართულ და რუსულ ენებზე და საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დიდი მწერლისადმი. ცალკე გამოცემად უნდა გამოვიდეს მწერლის მიწერ-მოწერა.

საიუბილეო კომიტეტმა გადაწყვიტა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შენობაში მოაწყოს მწერლისადმი მიძღვნილი მემორიალური გამოფენა. თბილისში განზრახულია გაიხსნას ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლი-მუზეუმი. ყვარელსა და საგურამოში დაიდგმება დიდი მწერლის ძეგლები.

საიუბილეო დღეებისათვის გათვალისწინებულია კინოფილმის გამოშვება ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით, აგრეთვე სასწავლო ფილმის მომზადება მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ილია ჭავჭავაძის ტექსტებზე დაიწერება მთელი რიგი მუსიკალური ნაწარმოებები.

იუბილესთან დაკავშირებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1957 წელი გავხადოთ გარდაჯვეხის წელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში

სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ორი დღის განმავლობაში, 28 თებერვალსა და 1 მარტს, თბილისში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა სოფლის მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირის გახსნამდე დიდი ხნით ადრე დარბაზი აივსო კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტსების მოწინავე ადამიანებით, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით, მეცნიერებით, პარტიული და საბჭოთა მუშაკებით. აქ შეიკრიბა 1.200-ზე მეტი კაცი.

მოხსენება განვლილი სასოფლო-სამეურნეო წლის შედეგებისა და 1957 წლის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ.**

— საბჭოთა ადამიანები, — ამბობს მომხსენებელი, — უდიდესი ენთუზიაზმით ახორციელებენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამსჭვალულია დიადი ლენინური ზრუნვით ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ამ საერთო საქმეში თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეაქვს ქართველ ხალხს, მის სახელოვან მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა ინტელიგენციას. გასულ წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა ჩვენმა რესპუბლიკამ გადაჭარბებით შეასრულა. მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა, საქართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს პურის, მატყლის, ხილის, ციტრუსების, ყურძნის, ჩაის ფოთლის დამზადების სახელმწიფო გეგმები. რამდენადმე გაიზარდა რძის წარმოება.

— მაგრამ მთელი პარტიული პირდაპირობით უნდა ვაღიაროთ, — განაგრძობს მომხსენებელი, — რომ ჩვენ კიდევ ვერ უზრუნველვყავით მკვეთრი გარდატეხა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მეტად არადამაკმაყოფილებლად ვიყენებთ უმდიდრეს შესაძლებლობებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის.

მომხსენებელი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ჩაის კულტურის მნიშვნელობას. რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციებს უჭირავს 66 ათასი ჰექტარი, ე. ი. 90 პროცენტი მთელი ფართობისა, რომელიც ჩაის უჭირავს სსრ კავშირში.

ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი მეჩაიეების წინაშე დგას დიდი სახელმწიფოებრივი ამოცანა — უახლოეს დროში მიაღწიონ ჩაის წარმოების ისეთ დონეს, რომელიც საშუალებას მოგვცემს არა მარტო მთლიანად დავაკმაყოფილოთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა მოთხოვნილება, არამედ გასაყიდადაც გავიტანოთ ჩაი საზღვარგარეთ.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჩაის პლანტაციებში ნაკლებ ნედლეულს ვიღებთ, ვიდრე მათ შეუძლიათ მოგვცენ. ჩაის ფოთლის საერთო მოსავლის მიხედვით ჩვენ, არსებითად, უკვე მთელი რიგი წლების განმავლობაში ერთსა და იმავე დონეზე ვიმყოფებით, ე. ი. საშუალოდ ვიღებთ 115-120 ათას ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს. გასულ წელს კი რესპუბლიკამ ბევრად ნაკლები ჩაი მოკრიფა, ვიდრე 1955 წელს. უფრო მეტიც, მცირდება ჩაის ფოთლის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე.

მეექვსე ხუთწლედის ბოლოს კი ჩაის ფოთლის მოსავალი ჩვენ უნდა ავიყვანოთ 165 ათას ტონამდე. რეალურია თუ არა ეს დავალება? სავსებით რეალურია. მოწინავე მეჩაიეებია, კოლმეურნეობებისა და რაიონების გამოცდილება მოწმობს, რომ არსებულ პლანტაციებშიც შეგვიძლია ვიღებდეთ 200 ათას ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს.

სერიოზულ დაბრკოლებას, რაც ხელს უშლის საერთო მოსავლის გადიდებას, წარმოადგენს ჩაის მოყვანის ძაღალი შრომატევადობა. უკანასკნელ ხანს მიღებულია ზომები, რომ ჩაის პლანტაციებში მოხდეს მექანიზაცია იმ სამუშაოებისა, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში გრძელდება. ჩვენ გვაქვს ჩაის ბუჩქისათვის ფორმის მისაცემი, მინერალური სასუქების შესატანი, მწკრივთაშორის კულტივაციის შესასრულებელი მანქანები. მაგრამ ყველაზე შრომატევადი სამუშაო — ჩაის ფოთლის კრეფა ჯერ კიდევ ხელით წარმოებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ მკვეთრად შეგვაციროთ შრომის ხარჯვა ჩაის პლანტაციებში და, პირველ რიგში, მოვახდინოთ ჩაის ფოთლის კრეფის მექანიზაცია. ჩვენმა კონსტრუქტორებმა, გამომგონებლებმა უკვე შექმნეს პირველი ნიმუშები მანქანებისა ჩაის კრეფის მექანიზაციისათვის. ეს იმედს გვინერგავს, რომ შეგვიძლება მანქანებს „მივანდოთ“ ისეთი რთული ოპერაცია, როგორიც არის ჩაის ფოთლის კრეფა.

დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს სასუქებისა და ჩაის ფოთლის გადასაზიდავად. ამ სამუშაოს ჩვენში ბევრი ადამიანი და დიდძალი ცოცხალი გამწევი ძალა სჭირდება. ჩვენ ჩაის ფოთლის დიდი დანაკარგი გვაქვს მისი ტრანსპორტირების დროს, ამასთან დაბლა იწევს პროდუქციის ხარისხიც. ამიტომ საჭიროა თანთოდ მოვაწყოთ კიდული გზების მშენებლობა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მაგალითის მიხედვით. ჩვენი საკონსტრუქტორო ბიუროები ვალდებული არიან შეიმუშაონ ტიპური, იაფი საბაგირო გზები რკინაბეტონის კონსტრუქციების გამოყენებით ისე, რომ უახლოეს ხანში გადავჭრათ ჩაის პლანტაციებში ტრანსპორტის პრობლემა.

გასული წლის ბოლოს საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის პლენუმზე განიხილა მევენახეობისა და მებაღეობის განვითარების საკითხი. სოფლის მეურნეობის ეს დარგები თავმინებებულია. უნდა აღინიშნოს, რომ ფართობი, რომელიც რესპუბლიკაში ვენახებს უჭირავს, შეადგენს დაახლოებით 60 ათას ჰექტარს, მაშასადამე, არის სრული შესაძლებლობა გავადიდოთ ვენახების ფართობი 2-3-ჯერ და უფრო მეტად. ცხადია, უმჯობესია კახეთის, ქართლის, იმერეთის რაიონებში მრავალი ათასი ჰექტარი მიწა გამოვყოთ ვენახებისათვის და მივიღოთ ჰექტარზე ას-ასი ცენტნერი ყურძენი, ვიდრე ვთესოთ მარცვლეული კულტურები და მივიღოთ 5-6 ცენტნერი მარცვლეული.

ვენახების ფართობების გადიდებასთან ერთად უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი მათი სიმეჩხრის ლიკვიდაციისათვის.

განსაკუთრებით დამაფიქრებელია მდგომარეობა სანერგე მასალის გამოყვანის საქმეში. ვენახების ფართობების გადიდების გეგმა რომ შევასრულოთ, ამ წლებში სულ მცირე 100 მილიონი ნერგი უნდა გამოვიყვანოთ.

სერიოზული საყვედურის ღირსი არიან საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, ამიერკავკასიის მეტალურგმშენი და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც დღემდე არ შესდგომიან ვენახებისათვის საჭირო ბეტონის ბოძების დამზადებას.

აღნიშნა რა, რომ მოწინავე მევენახეთა გამოცდილების შესწავლა არ წარმოებს, რომ მას ცუდად უწევენ პროპაგანდას და სუსტად ნერგავენ წარმოებაში, მომხსენებელმა აღნიშნა იმის საჭიროება, რომ მევენახეობის რაიონებში შეიქმნას მოწინავე გამოცდილების სკოლები.

გორის რაიონის კოლმეურნეობა „წითელ ქართლში“ შრომობს სახელგანთქმული. რეკორდსმენი სიკო ცაციაშვილი, რომელმაც შარშან მისთვის მიმაგრებულ ჰექტარ ბაღში 700 ცენტნერი ვაშლი მიიღო. ამხ. ცაციაშვილს თამამად შეიძლება ვუწოდოთ მეხილეობის აკადემიკოსი. მისი გამოცდილება გულმოდგინედ უნდა შევისწავლოთ და მთელ რესპუბლიკაში გავავრცელოთ.

ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ გადამამუშავებელი მრეწველობა. არსებული საკონსერვო და მეღვინეობის ქარხნების გაფართოებასთან ერთად საჭიროა, ნედლეულის უკეთ გამოყენების მიზნით, ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში მოვაწყოთ წვრილ საწარმოთა მშენებლობა.

პატარა საკონსერვო ქარხნების მშენებლობა ბევრ ჩვენს მსხვილ კოლმეურნეობას შეუძლია. უნდა გადმოვიღოთ გამოცდილება ალტაის მხარის ერთ-ერთი კოლმეურნეობისა, სადაც თავმჯდომარედ არის ამხ. გრინკო. ამ კოლმეურნეობამ ააშენა პატარა საკონსერვო ქარხანა, რომელიც უშვებს პროდუქციას არტელის მარკით. უნდა დავეხმაროთ კოლმეურნეობებს ასეთი ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობის შეძენაში.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ციტრუსოვანთა მეურნეობის მდგომარეობაზე და აღნიშნავს, რომ ამ ძვირფას დარგს რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებლად უძღვებიან. დაბალია ძველი პლანტაციების აღდგენისა და ახლების გაშენების ტემპები.

— აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და საქართველოს მთელი რიგი სხვა რაიონების კოლმეურნეობათა შემოსავალში დიდი ხვედრითი წონა აქვს თამბაქოს და ზეთოვან კულტურებს. ჩვენი რესპუბლიკა განთქმულია თავისი მაღალხარისხოვანი თამბაქოთი, და სახელმწიფო სამართლიანად გვიყენებს მოთხოვნას გავადიდოთ თამბაქოს მოსავლიანობა და ჩაბარება. გასულ წელს ჩვენ სახელმწიფოს დავაკელით 2,5 ათასი ტონა თამბაქო და 3 ათასი ტონა ეთერ-ზეთოვანი ნედლეული.

თამბაქო, ისევე როგორც ჩაი, ძალიან შრომატევადი კულტურაა. გარდა მოხვნისა, თამბაქოს მოყვანის, აღებისა და დამუშავების ყველა სამუშაო ხელით სრულდება. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ თამბაქოს წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოს მექანიზაციას. უკანასკნელ დრომდე ამ საკითხს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. მნიშვნელოვან ფართობებზე უნდა გამოვიყენოთ თამბაქოს სარგავი მანქანები, სპეციალური ტრაქტორებითა და კულტივატორებით ვაწარმოოთ პირველი და მეორე კულტივაცია და დამატებითი გამოკვება. საჭიროა აგრეთვე განვახორციელოთ თამბაქოს ფოთლის ანემსვისა და ხმობის მექანიზაცია.

ბოსტნეულის მოსავალი ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. თუ საერთო მოსავალი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში წელიწადში 64 ათას ტონას შეადგენს, კოლმეურნეთა ინდივიდუალურ ნაკვეთებზე იგი 70 ათას ტონას აღწევს. სწორედ ამიტომ ბაზარზე ბოსტნეულის ფასებს განსაზღვრავენ არა კოლმეურნეობები, არამედ ინდივიდუალური მწარმოებლები, რომლებიც ამასთან თავიანთ პროდუქციას ხშირად გადამყიდველებისა და სპეკულანტების მეშვეობით ასაღებენ.

საჭიროა კოლმეურნეობათა განსაკუთრებული ყურადღება მივაპყროთ, სადაც ამისათვის პირობები არსებობს, მებოსტნეობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას. უკვე წელს უნდა გადავწყვიტოთ ის ამოცანა, რომ მთელი წლის განმავლობაში საკმაო ბოსტნეულით უზრუნველვყოთ ქალაქების მცხოვრებნი, ჩვენი საწარმოების მუშები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმზე ჩვენი რესპუბლიკა მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული მეცხოველეობის ცუდი მდგომარეობისათვის, განსაკუთრებით მისი დაბალი პროდუქტიულობისათვის. უკანასკნელ ხანს გაწეულია ერთგვარი ძუშაობა მეცხოველეობის გასაუმჯობესებლად. უფრო მზრუნველობით უვლიან საზოგადოებრივ პირუტყვს, გადიდდა მისი პროდუქტიულობა. კოლმეურნეობებში შექმნილია მეცხოველობის ტიპური ფერმები, სილოსის ჩადება ერთიორად და უფრო მეტად გადიდდა, გაუმჯობესდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა. თუ სამი წლის წინათ საშუალოდ ერთი ძროხის წველადობა რესპუბლიკაში 450 კილოგრამს შეადგენდა, 1956 წელს მიღებულ იქნა 852 კილოგრამი რძე. მაგრამ მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის ტემპები არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც გვიყენებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ დარგში ჩვენ მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს. ხორცის წარმოება კოლმეურნეობებში 1956 წელს, წინა წელთან შედარებით, 22 პროცენტით შემცირდა. ხორცისა და რძის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა არ შესრულებულა.

თუ ზოგი რაიონის ეკონომიკას ჩაის, თამბაქოს, ყურძნის, ბოსტნეულის წარმოება განსაზღვრავს, რესპუბლიკის სხვა რაიონების მეურნეობის წამყვანი დარგი და კოლმეურნეობათა შემოსავლის ძირითადი წყარო მეცხოველეობა უნდა იყოს.

წელს რესპუბლიკაში საშუალოდ ერთი საფურაჟე ძროხის წველადობა სულ მცირე 1.200 კილოგრამამდე უნდა ავიყვანოთ. უნდა ვიფიქროთ, რომ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, მტსების ხელმძღვანელები, კოლმეურნეები განმსჭვალებიან ჯეროვანი პასუხისმგებლობით ჩვენს რესპუბლიკაში მერძეული მეცხოველეობის მდგომარეობისათვის და ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დაძლიონ ჩამორჩენა.

დაუყოვნებლივ პრაქტიკულ გადაწყვეტას საჭიროებს საკითხი პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობისა იმ რაიონებში, სადაც მრავალწლიანი კულტურები ჭარბობს. ამ რაიონებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის შენახვა უხდებათ შორიდან შემოტანილი საკვებით, რის შედეგად ლიტრი რძის თვითღირებულება 6-10 მანეთს აღწევს. გონივრული იქნება, თუ ამ რაიონებში (ხოლო ეს, როგორც წესი, ჩვენი საკურორტო ზონის რაიონებია) ვიყოლიებთ მაღალი წველადობის ძროხებს, რათა დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება რძეზე; ხოლო მთელ მოზარდეულს უნდა ვინახავდეთ და ვზრდიდეთ მეცხოველეობის ისეთ რაიონებში, როგორიც ბოგდანოვკის, წალკის და სხვა რაიონებია.

მეცხოველეობის რაიონები და კოლმეურნეობები მოწოდებული არიან უზრუნველყონ რესპუბლიკა ხორცის საკმაო რაოდენობით. პირუტყვის სულადობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ ხორცის ჩაბარებას ჩვენ ძირითადად რქიანი პირუტყვით ვასრულებთ. ამასთან უკანასკნელ წლებში მცირდება ჩაბარებული ცხოველების წონა. კოლმეურნეობები აბარებენ მოზარდეულს და ამით ამცირებენ ჯოგის მომრავლების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ჩაბარებული პირუტყვი, როგორც წესი, აშუალოზე ნაკლები სიმსუქნისაა. საჭიროა კატეგორიულად აიკრძალოს მჭლე პირუტყვის ჩაბარება სასაკლაოზე, უფართოესი მასშტაბით მოეწყოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში პირუტყვის გასუქება, რათა სპეციალურ გასასუქებელ მოედნებზე პირუტყვის სიმსუქნე აყვანილ იქნას საჭირო დონემდე.

აღნიშნა რა პირველი წარმატებანი, რომლებიც უკანასკნელ ხანს მიღწეულია ღორების გასუქების საქმეში, მომხსენებელმა თქვა, რომ ხორცის წარმოების ეს პროგრესული წესი კიდევ უფრო ფართოდ უნდა გავრცელდეს. მეღორეობის ყოველი ღონისძიებით განვითარება შესაძლებლობას მოგვცემს გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მომარაგება ხორცით, მნიშვნელოვნად გავადიდოთ კოლმეურნეობათა შემოსავალი და შრომადღის ღირებულება.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს მეცხოველეობის ისეთი მაღალშემოსავლიანი დარგის შესახებ, როგორიც მეცხვარეობაა. საქართველოში მეცხვარეობას მისდევს რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონების პევრი კოლმეურნეობა, რომლებისთვისაც ეს დარგი შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. შარშან სახელმწიფოსათვის მატყლის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შესრულებულ იქნა 128 პროცენტით, გაიზარდა მატყლის საშუალო ნაპარსი.

ეხება რა მეფრინველეობის განვითარების საკითხებს, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მეცხოველეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი ყველაზე უფრო თავმინებებულია. თუ 1953 წელს კვერცხმდებელი დედლების სულადობა კოლმეურნეობებში 900 ათას ფრთაზე მეტს შეადგენდა, 1956 წელს იგი 537 ათას ფრთამდე შემცირდა. წყალმცურავი ფრინველის სულადობა შემცირდა ერთიორად, ინდაურის რაოდენობა — ექვსჯერ. დედლების საშუალო კვერცხმდებელობა შეადგენს სულ 36 კვერცხს.

ჩვენი ამოცანაა კვერცხმდებელი დედლების სულადობა კოლმეურნეობებში მიმდინარე წლის დამლევისათვის ავიყვანოთ სულ ცოტა 600 ათას ფრთამდე, ხოლო კვერცხმდებლობა საშუალოდ ავიყვანოთ 80 ცალ კვერცხამდე ყოველ კვერცხმდებელ დედალზე.

ეს შესაძლებელია იმ პირობით, თუ მეფრინველეობაში გაბედულად გამოვიყენებთ პროგრესულ მეთოდებს, დავნერგავთ გალიურ შენახვას, ავტომატურ საკვებურებს, მოვაწყობთ სპეციალური კომბინირებული საკვების წარმოებას. მეფრინველეობის საკოლმეურნეო ფერმაში სულ ცოტა 3-5 ათასი ქათამი უნდა იყოს. მხოლოდ ასეთი ფერმა მისცემს კოლმეურნეობას შესაძლებლობას მიიღოს მეფრინველეობით რეალური სარგებლობა.

— მტკიცე საკვები ბაზა თუ არ იქნა, — ამბობს მომხსენებელი, — შეუძლებელია მეცხოველეობის განვითარება. ამიტომ საჭიროა გავადიდოთ მარცვლეული კულტურების და განსაკუთრებით სიმინდისა და ხორბლის წარმოება. შემდეგში, ძვირფასი მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების — ვაზის, ხეხილის და სხვათა განვითარების მიზნით, დაგვჭირდება რამდენადმე შევამციროთ მარცვლეული კულტურებისათვის განკუთვნილი ფართობები. ეს გვავალებს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებას.

ამ დღეებში რესპუბლიკაში ჩაღდება საგაზაფხულო თესვა. თესვის ხარისხზე დამოკიდებულია მოსავალი. ახლა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების, კოლმეურნეობების მთელი ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს იქითკენ, რომ საგაზაფხულო თესვის კამპანია მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარდეს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ვალია სიმინდი დათესონ კვადრატულ-ბუდობრივი წესით და ჯერჯერობით დაყალიბებული თესლით რაც შეიძლება დიდ ფართობზე და ამით მკვეთრად შეამცირონ შრომითი დანახარჯები ამ უძვირფასესი კულტურის წარმოებაზე, თავიდან ააცილონ კოლმეურნეებს სიმინდის გამოხშირვისა და თოხნის მძიმე სამუშაო.

შეეხო რა მტს-ების გადამწყვეტ როლს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობაში და საქართველოს სოფლის მექანიზატორების მუშაობას, მომხსენებელმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ხელმძღვანელთა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების მოყვანის მექანიზაციის, აგრეთვე მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლება.

ჩვენ წმიდად უნდა ვიცავდეთ ჩვენს სოციალისტურ საკოლმეურნეო წყობილებას, ვქმნიდეთ საზოგადოებრივ აზრს დაუდევარ კოლმეურნეთა წინააღმდეგ, რომლებიც უგულებელყოფენ შრომის დისციპლინას, ანგარიშს არ უწევენ კოლექტივის ინტერესებს, არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას. მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ ძალიან ბევრი შრომისუნარიანი კოლმეურნე არ იმუშავებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს, კოლმეურნეობებში ირიცხება ფორმალურად, რათა საკუთარი საკარმიდამო ნაკვეთი შეინარჩუნოს. ასეთ ცრუკოლმეურნეებს მხოლოდ თავიანთი პირადი მეურნეობა აინტერესებთ.

შემდეგ ამხ. მჟავანაძე ლაპარაკობს იმ დიდ როლზე, რომელიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის აღმავლობაში უნდა შეასრულონ სასოფლო-სამეურნეო უმაღლესმა სასწავლებლებმა, სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა დიდმა არმიამ.

— ჩვენი რესპუბლიკა, — ამბობს დასასრულ ამხ. მჟავანაძე, — გრძნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიურ მზრუნველობასა და დახმარებას, და ეჭვი არ არის, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები აამოქმედებენ მთელ რეზერვებს, უფრო ფართოდ გააჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას, გადაჭრით გააუმჯობესებენ ხელმძღვანელობას მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგისადმი და 1957 წელს გახდიან გარდატეხის წლად სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ განვითარებაში.

• • •

მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი.

— ჩვენმა კოლმეურნეობამ, — თქვა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის სტალინის სახელობის არტელის თავმჯდომარემ **ნ. მამაიაშვილმა,** — შარშან ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავალი მოიყვანა, მნიშვნელოვნად გაადიდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებულია 1.952 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.200 ლიტრისა. საშუალოდ ერთი ცხვრის ნაპარსმა შეადგინა 3,6 კილოგრამი ნაცვლად 3 კილოგრამისა. კოლმეურნეობაში დიდი ყურადღება ექცევა ხორცის წარმოების გადიდების ისეთი დიდმნიშვნელოვანი რეზერვის გამოყენებას, როგორიც მეღორეობაა. სახელმწიფოსათვის ხორცის ჩაბარების წლიური დავალება კოლმეურნეობამ გასულ წელს ძირითადად ღორის ხორცით შეასრულა.

ორატორმა აღნიშნა, რომ მტს-ს არა აქვს მანქანები მეცხოველეობის ფერმებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საქმეს.

პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა **შ. ჭანუყვაძემ** ილაპარაკა მახარაძის რაიონის კოლმეურნეთა შრომითს წარმატებებზე. ჩაის კრეფის დავალება 1956 წელს რაიონმა შეასრულა 100,3 პროცენტით, საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 3.613 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სიმინდის საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 18 ცენტნერი შეადგინა. საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.020 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 915 კილოგრამისა. აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესრულებულია 101,2 პროცენტით.

— ყველა ამ წარმატების მიღწევას, — აღნიშნა ამხ. ჭანუყვაძემ, — დიდად შეუწყო ხელი სოციალისტურმა შეჯიბრებამ უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებთან. მახარაძის რაიონის კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშაკები და ყველა მშრომელნი ახალი ძალით გაიჩაღებენ ამ ტრადიციულ შეჯიბრებას და მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ მისცენ სახელმწიფოს 24 მილიონი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

— სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანეს აჭარის მშრომელებმაც, — განაცხადა თავის გამოსვლაში აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. თხილაიშვილმა.**

მიღწეულია ახალი წარმატებები ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. აჭარას ჰყავს უხვი მოსავლის ოსტატთა შესანიშნავი კადრები, მოწინავე ადამიანები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

აჭარის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში აფხაზეთის ასს რესპუბლიკასთან. შეჯიბრებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. აფხაზეთის მშრომელებმა მიმდინარე წელს კვლავ გამოიწვიეს შეჯიბრებაში აჭარის ასსრ მშრომელები, რათა 1957 წელი სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის წელი გახადონ. აჭარის სოფლის მშრომელები მხარს უჭერენ აფხაზთა წინადადებას და პირობას იძლევიან ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ შიდა რეზერვები, ფართოდ დანერგონ უხვი მოსავლის და მეცხოველეობის მაღალი პროდუქტიულობის ოსტატთა გამოცდილება.

მებაღეობის განვითარების აქტუალურ საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ თავმჯდომარემ **მ. ჯაშაშვილმა.** 1955 და 1956 წლებში ჩვენმა კოლმეურნეობამ, — თქვა მან, — საშუალოდ ერთ ჰექტარზე 47 ცენტნერი ვაშლი მოიყვანა. შეიძლებოდა გაცილებით უფრო მაღალი მოსავლის მოყვანა, მაგრამ ბაღებში სამუშაოთა მექანიზაციის დონე მეტად დაბალია.

ხილის მოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის საშემოდგომო მოხვნას ბაღებში. მაგრამ გორის მტს-ი ნაკლებად გვეხმარება ამ საქმეში. მაგალითად, 1956 წელს მან ტრაქტორებით მოხნა მხოლოთ 34 ჰექტარი, კოლმეურნეობამ 250 ჰექტარზე მეტი ხელით დაამუშავა. ბაღებში არ ტარდება კულტივაცია. მებაღეობის დარგში მეექვსე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის საჭიროა გაუმჯობესდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მომარაგება ბაღების დასამუშავებელი სპეციალური მანქანებით.

ტრიბუნაზეა ახალციხის რაიონის სოფელ წყალთბილას კოლმეურნეობა „წითელი მესაზღვრის“ თავმჯდომარე **ე. სამუელიანი.** მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ მიდის უკანასკნელ წლებში აღმავლობისაკენ არტელის მეურნეობა.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების (მარცვლეულისა და კარტოფილის) მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებასთან ერთად კოლმეურნეობა წლითიწლობით ამცირებს პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე შრომისა და სახსრების დანახარჯებს. მაგალითად, თუ ცენტნერი მარცვლეულის წარმოებაზე 1955 წელს 8,5 შრომადღე დაიხარჯა, 1956 წელს ეს დანახარჯები 7 შრომადღემდე შემცირდა.

ამხ. სამუელიანმა გააკეთა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რესპუბლიკის სავაჭრო და მომმარაგებელი ორგანიზაციების მისამართით. მან თქვა, რომ არ იღებენ ღონისძიებებს ხილის ადგილობრივი პერსპექტიული ჯიშების აღდგენისათვის და მათ ნაცვლად წინადადებას იძლევიან განვავითაროთ ნაკლები ღირებულების ჯიშები; ხეხილის ბაღებში მექანიზაციის დონე 10-15 პროცენტს არ აღემატება; მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენს პირუტყვის მოსავლელი ინვენტარი (ჯაგრისების, სამურველების და სხვ.) და ფერმებში შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის საჭირო მასალების შეძენა.

სამხრეთ ოსეთის მეტი წილი კოლმეურნეობები მთაგორიან ადგილებშია. ამიტომ თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი პარტიის სოფლო კომიტეტის მდივანმა ამხ. **გ. სანაკოევმა** მიუძღვნა სოფლის მეურნეობის მდგომარეობას მთაგორიან რაიონებში და იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სოფლო ორგანიზაციები ახორციელებენ სამთო მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ჩამორჩენის დასაძლევად.

შემდეგ ამხ. სანაკოევი ლაპარაკობს დაწყებულ საგაზაფხულო სამუშაოებზე. უკვე დათესილია პირველი რამდენიმე ასეული ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. მაგრამ ოლქის კოლმეურნეობები მთლიანად როდი არიან უზრუნველყოფილნი თესლით. აკლიათ, კვრძოდ, სიმინდისა და კარტოფილის თესლი. ორატორი სთხოვს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოუყოს კოლმეურნეობებს დაკლისი თესლი.

პარტიის გურჯაანის რაიკომის მდივანმა ველისციხის მტს-ის ზონაში ი. **სიხარულიძემ** განაცხადა, რომ მტს-მა და ზონის კოლმეურნეობებმა გასული სამეურნეო წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. საკმარისია ითქვას, რომ მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა გასულ წელს მთელი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 71,16 ცენტნერი ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 62,1 ცენტნერის ნაცვლად, 17,06 ცენტნერი ხორბალი გეგმით გათვალისწინებული 12,7 ცენტნერის ნაცვლად, 22,1 ცენტნერი სიმინდი გეგმით გათვალისწინებული 18,56 ცენტნერის ნაცვლად. ზოგიერთი კოლმეურნეობის შემოსავალმა გასულ წელს 4-5 მილიონი მანეთი შეადგინა. მიღწეული წარმატებებისათვის მტს-ი წარდგენილია 1957 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის კანდიდატად.

— ამ წარმატებათა მიღწევას, — თქვა ამხ. სიხარულიძემ, — ხელი შეუწყო ინსტრუქტორთა ჯგუფის მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებამ. ჩვენ სისტემატურად ვიწვევთ ზონის კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირ-სემინარებს, ვსწავლობთ კოლმეურნეობათა ეკონომიკას, ღრმა ანალიზს ვუკეთებთ ეკონომიურ მაჩვენებლებს და ადგილზევე ვუწევთ პრაქტიკულ დახმარებას კოლმე

1957 წელი გავხადოთ გარდამტეხის წელი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებაში

(დასასრული)

ყოველივე ამის შესახებ უამბო თათბირის მონაწილეებს გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ნ. გაჯიევმა.**

თელავის რაიონის სოფელ სანიორეს კოლმეურნეობა „1 მაისის“ თავმჯდომარემ **ა. მარგალიტოვმა** უსაყვედურა საქართველოს სსრ საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რომ იგი არ ჩქარობს უზრუნველყოს თელავის რაიონის კოლმეურნეობები ვენახების შპალერულ სისტემაზე გადასაყვანად საჭირო რკინაბეტონის ბოძებით. მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა, — თქვა ამხ. მარგალიტოვმა, — არ იზრუნეს იმისათვის, რომ რაიონში საკმაო რაოდენობით შემოეტანათ სასხურებელი და შესაფრქვევი აპარატები, ვენახების დასამუშავებელი იარაღ-მანქანები.

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების, რეზერვების გამოყენებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის განმტკიცების საკითხებს მიუძღვნა თავისი სიტყვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. **ჰ. კოვანოვმა.**

— ჩვენ მხოლოდ იმ პირობით შეგვიძლია მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას, — ამბობს იგი, — თუ ყოველმხრივ განვავითარებთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივ მეურნეობას, თუ უნარიანად შევახამებთ საზოგადოებრივი მეურნეობის ინტერესებს კოლმეურნეთა პირად ინტერესებთან. მხოლოდ ამ საფუძველზე შეგვიძლია მივაღწიოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებას და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამიტომ საზოგადოებრივი ინტერესების პირად ინტერესებთან შეხამების საკითხები ქვაკუთხედი უნდა გახდეს პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებ ი ს ხელმძღვანელობაში კოლმეურნეობებისადმი.

ამ საქმეში კი ჯერ კიდევ ბევრი არსებითი ნაკლია. ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელი როდი იყენებს მეურნეობის წარმოების საკოლმეურნეო ფორმის უპირატესობებს. უდიდესი ტექნიკის არსებობისას ხშირად საზოგადოებრივ მეურნეობას ცუდად უძღვებიან.

მოწინავე კოლმეურნეობათა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სადაც მიწის მაქსიმალური, ინტენსიური გამოყენების საფუძველზე საზოგადოებრივი მეურნეობა ფართოდ არის განვითარებული, იქ კოლმეურნენი ცდილობენ უწინარეს ყოვლისა მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ შრომაში, ვინაიდან ეს შრომა მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ძირითადი წყაროა. და, პირიქით, სადაც საზოგადოებრივი მეურნეობა სუსტად არის განვითარებული, სადაც კოლმეურნეებს შრომადღეებზე უმნიშვნელო რაოდენობით აძლევენ პროდუქტებსა და ფულს, იქ, ცხადია, ადამიანები ამჯობინებენ თავიანთი საკარმიდამო ნაკვეთებზე იმუშაონ. საზოგადოებრივი მეურნეობის რა გადიდებაზე და მინდვრებსა და ფერმებში მუშაობისადმი კოლმეურნეთა რა ინტერესზე შეიძლება ლაპარაკი ზუგდიდის რაიონის იმ კოლმეურნეობებში, სადაც გასულ სამეურნეო წელს საშუალოდ ერთ ძროხაზე 75-110 ლიტრი რძე მიიღეს. სოფლის მეურნეობის მშრომელთა გადაუდებელი ამოცანაა მიიღონ მიწისა და პირუტყვისაგან ყოველივე ის, რის მოცემაც მათ შეუძლიათ.

შემდეგ ამხ. კოვანოვი აღნიშნავს, რომ ხშირად მტს-ების ხელმძღვანელები მექანიზატორებისათვის ეძებენ რაც შეიძლება იოლ სამუშაოს, ამასთან ავიწყდებათ, რომ წლის ბოლოს ცუდი გამოდის შედეგები, მოსავალი. არა ჰექტარების რაოდენობა რბილ ხვნაზე გადაყვანით უნდა განსაზღვრავდეს მექანიზატორებთან მუშაობის დონეს, არამედ დამატებითი მოსავლის ცენტნერები. საქართველოს მტს-ების მუშაკების წინაშე დიდი, პასუხსაგები ამოცანები დგას მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის საქმეში. ეს ჩვენი მუშაობის ყველაზე ჩამორჩენილი უბანია.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწების რწყვისათვის სამუშაოთა უდიდეს მასშტაბებზე ილაპარაკა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის მინისტრმა **გ. ქობულიამ.** მან თქვა, რომ სარწყავი მიწების ფართობი საქართველოში ამჟამად 320 ათას ჰექტარს შეადგენს. დაეთანხმა რა იმას, რომ სარწყავი სისტემის ექსპლოატაციის დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, მან სწორად ცნო სამინისტროს მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა.

ამხ. ქობულიამ აღნიშნა, რომ საჭიროა ამაღლდეს რწყვის კულტურა, უფრო ფართოდ დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ღამით რწყვა და დააყენა საკითხი სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის გადაჭრით ამაღლებისა და მიწის სწორი რწყვის საქმეში მათი როლის გაძლიერების შესახებ.

ანალიზს უკეთებს რა 1956 წლის არადამაკმაყოფილებელ შედეგ ებ ს აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარებაში, საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **ო. გოცირიძე** აღნიშნავს, რომ ამის მიზეზია არა ამინდის არახელსაყრელი პირობები, როგორც ამის ახსნას ცდილობს ზოგიერთი მუშაკი, არამედ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობის ნაკლოვანებანი. მათ ვერ შეძლეს მოეხდინათ არსებული შესაძლებლობებით მანევრირება და გამოეყენებინათ ყველა რეზერვები, — სხვანაირად რით უნდა აიხსნას, — ამბობს შემდეგ ამხ. გოცირიძე, — რომ აფხაზეთის ცალკეული კოლმეურნეობები წარმატებით ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს და კარგი შედეგები აქვთ.

შემდეგ ორატორი ლაპარაკობს იმაზე, რომ ახლა აფხაზეთის სოფელში დიდი შრომითი აღმავლობაა. მინდვრებსა და პლანტაციებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სამუშაოები.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის **ე. შევარდნაძის** გამოსვლა მიეძღვნა ახალგაზრდობის როლს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა წლითიწლობით ადიდებს თავის წვლილს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდის საქმეში. გასულ წელს კარგი შედეგები გამოიღო მეჩაიეთა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ახალგაზრდა მეჩაიეებმა 32.000 ტონამდე ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფეს. ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში. ჩვენი რესპუბლიკის სამომთაბარეო მეცხოველეობის რაიონებში — დუშეთის, ყაზბეგის, ახმეტის, თიანეთისა და ლენინგორის რაიონებში ახალგაზრდობამ ქმედითი დახმარება გაუწია კოლმეურნეობებს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე საკვები რესურსების დაგროვების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **გ. ჯავახიშვილმა** თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მეცხოველეობის განვითარების საარსებო ამოცანებს. ანალიზი გაუკეთა რა საქართველოში საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ხორცის წარმოების საქმეში. გასულ წელს არ შესრულებულა ხორცისა და რძის დამზადებისა და სახელმწიფო შესყიდვის გეგმები, ეს პროდუქტები დამზადდა უფრო ნაკლები, ვიდრე 1955 წელს. ცუდად ვითარდება მეღორეობა. ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში სათანადოდ არ იყენებენ შინაგან რეზერვებს, დაბალია მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობის დონე.

ამხ. ჯავახიშვილმა აღნიშნა, რომ აუცილებელია საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა გააუმჯობესონ მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობა. სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სისტემატურად უნდა ეხმარებოდნენ კოლმეურნეობებს, მეცხოველეობის ფერმებს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიღებული რძის ზუსტ აღრიცხვას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. დახმოიანებისა და დოლის ორგანიზებულად ჩატარებას, მეღორეობისა და მეფრინველეობის განვითარებას, ხორცის, რძისა და მატყლის წარმოების გადიდების რეზერვების მთლიანად გამოყენებას.

მიღებულ უნდა იქნას ყველა ღონისძიება რესპუბლიკისათვის ისეთი გადამწყვეტი კულტურის მოსავლიანობის ასამაღლებლად, როგორიც არის ჩაი. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა რაიონები, რომლებიც ჰავის ერთნაირ პირობებში იმყოფებიან, სხვადასხვა მოსავალს იღებენ. მაგალითად, ზუგდიდის რაიონმა გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 2.465 კილოგრამი ჩაი, გალის რაიონმა — 1.706 კილოგრამი. წყალტუბოს რაიონმა მიიღო ნაკლები, ვიდრე ქუთაისისამ, ხოლო ცხაკაიას რაიონმა ნაკლები, ვიდრე გეგეჭკორისამ. დაბალი მოსავლიანობა ჩაის პლანტაციების ცუდი მოვლის შედეგია.

გასულ წელს საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს საბჭოთა მეურნეობებს ცუდად როდი უმუშავნიათ. სახელმწიფოს ჩაბარდა მეტი ხორცი, რძე, კვერცხი, მატყლი, ვიდრე წინა წელს. სამინისტრომ მოგებით დაამთავრა წელი, მაგრამ, როგორც საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა **გ. ალავიძემ** აღიარა, მთლიანად გამოყენებული როდია ყველა რეზერვი და შესაძლებლობა. სამინისტროს 66 საბჭოთა მეურნეობიდან ათმა გასული წელი ზარალით დაამთავრა.

დასასრულ ამხ. ალავიძემ ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც სამინისტრო იღებს საბჭოთა მეურნეობების მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და საქართველოს საბჭოთა მეურნეობების საწიმოშო მაღალრენტაბელურ სოციალისტურ საწარმოებად გადაქცევისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ბ. ბაბალიოვმა** ხაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ვ. ჭერქაძე** დაწვრილებით შეჩერდა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც უახლოეს დროში განხორციელდება ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ზონაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით. შემუშავებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ მოხდეს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია და სწორად იქნას განლაგებული სასოფლო-სამეურნეო კულტურები ყველა რაიონის ეკონომიკის, ნიადაგისა და ჰავის პირობების გათვალისწინებით. საქართველო დაყოფილია 11 სპეციალურ სასოფლო-სამეურნეო ზონად და 3 ქვეზონად. რაიონების ასეთი დიფერენციაცია სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების დარგში საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ სოფლის მეურნეობის განვითარების შაბლონური დაგეგმვა და ბევრად შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებას, დიფერენცირებული აგროტექნიკის განხორციელებას, სწორი თესლბრუნვების დანერგვას, რაც მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების საფუძველია.

— საქართველოს სს რესპუბლიკას, — ამბობს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. **მ. პარშიკოვი,** — ხელსაყრელი პირობები აქვს ყველა კულტურის და განსაკუთრებით ისეთი კულტურების მოყვანისათვის, რომლებიც ყველგან არ ხარობს (ჩაი, ციტრუსები, ყურძენი, ხილი, თამბაქო და ეთეროვანი კულტურები).

ჩვენ სრულებითაც ვერ გვაკმაყოფილებს ყურძნის და განსაკუთრებით ხილის მოსავლიანობა. შეგვიძლია მოვიყვანოთ ბაღების სრული მოუვლელობის მრავალი მაგალითი. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მაღალი და მყარი მოსავლის მიღება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოვუღოთ ბოლო ბაღებისა და ვენახების თავმინებებულობას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სანერგეებისა და საძირე ვაზების სადედეების მუშაობას, მივაღწიოთ სარგავი მასალის გამოყვანის პროცენტის გადიდებას.

თავისი გამოსვლის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. პარშიკოვმა მიუძღვნა ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების მოყვანისათვის ახალი მანქანების შექმნის საკითხებს. გამოსული აძახაგები, ამბობს იგი, სავსებით სამართლიანად ჩიოდნენ, რომ არა გვაქვს სპეციალური მანქანები ბაღებში, ვენახებსა და ჩაის პლანტაციებში სამუშაოდ. ეს კრიტიკა უწინარეს ყოვლისა ეხება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუ მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებები მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის და სხვა კულტურების მოყვანის მექანიზაციის საქმეში, მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა მრავალწლიანი კულტურების მოვლა-დამუშავების მექანიზაციის საქმეში. სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს სუბტროპიკული მეურნეობისა და სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო მანქანებზე.

თათბირზე გამოსულმა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **დ. მაგომაევმა** და სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **გ. მარქარიანმა** აზერბაიჯანისა და სომხეთის სოფლის მეურნეობის მშრომელთა სახელით თათბირის მონაწილეებს და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს გადასცეს ძმური სალამი და უსურვეს ახალი დიდი წარმატებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე მარნეულის რაიონის სოფელ ყაჩაღნის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ თავმჯდომარე **ა. ისმაილოვი,** ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის ჩაის მკრეფავი, სოციალისტური შრომის გმირი **ტ. ცინცაძე,** საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე **ი. ხოხლოვი,** საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორი **ი. სარიშვილი,** ელდარის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **პ. ბოლქვაძე,** გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი **ნ. ფანცულაია,** ზესტაფონის მტს-ის დირექტორი **მ. ბარბაქაძე,** სამტრედიის რაიონის სოფელ ნაფაღაურის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **გ. ფრანგიშვილი,** ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი **გ. პავლიდი,** საქართველოს კპ გარეუბნის რაიკომის მდივანი **დ. გელაშვილი.**

სხდომის დასასრულს საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. **ვ. მჟავანაძე.**

იკისრეს რა ვალდებულებანი 1957 წლისათვის, თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისადმი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა და ყველა მუშაკისადმი.

ლიტერატურა და ხელოვნება

პოეტი-მეომრის ლექსების წიგნი

„საბჭოთა მწერალმა“ ახლახან გამოსცა სანდრო ყღენტის ლექსების კრებული.

წიგნს წამძღვარებული აქვს ა. თევზაძის წინასიტყვაობა, რომელიც წარმოდგენას იძლევა პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

პირველ განყოფილებაში — „ლენინი ბაღში“ პოეტი მთელი მგზნებარებით უმღერის სოციალისტურ სამშობლოს, დიდ ლენინს.

შემდეგ განყოფილებაში შეტანილია სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსები. დიდი სამამულო ომის დღეებში პოეტმა დედა-სამშობლოს ერთ-ერთი ლექსით ასე შეაჭიცა: „ჩემო სამშობლოვ, ჩემს სიჭაბუკეს შენ შემოგწირავ, გწამდეს მარადის“. მართლაც, პოეტმა თავისი მგზნებარე სიტყვები და საქმე მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს.

პოეტი ფრონტზე სიტყვითა და საქმით აღაფრთოვანებდა საბჭოთა მებრძოლებს. პატრიოტული განცდა და მისი ძალა პოეტმა საუკეთესოდ გამოხატა ლექსში „მესაზღვრე“. იგი წერს: „სადაც სამშობლო მეძახის, იქ უნდა ვიყო დარაჯად, ხელში მეჭიროს შაშხანა, მეცვას მებრძოლის ფარაჯა“.

სამშობლოს მოწოდებაზე პოეტმა მებრძოლის ფარაჯა ჩაიცვა, გააფთრებული ებრძოდა მტერს და ამ ბრძოლაში გმირულად დაეცა.

სანდრო ყღენტი გატაცებით წერდა საბავშვო ლექსებს. ეს ლექსები მოთავსებულია განყოფილებაში „საყვარელ ბავშვებს“. პოეტი შთაგონებით უმღეროდა ნორჩი თაობის ბედნიერ და ლაღ ცხოვრებას.

სანდრო ყღენტის ლექსების კრებული კარგი საჩუქარია ახალგაზრდობისათვის.

ზ. ჭიჭინაძე.

მოზაარდ მაყურებელთა კინოთეატრი

ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკთა პროფესიული კავშირის საგზაო კომიტეტის თბილისს კავშირის კლუბის გამგეობამ რკინიგზელის სახლში გახსნა მოზარდ მაყურებელთა კინოთეატრი, რომელიც პირველია რესპუბლიკაში.

კინოთეატრში მოწყობილია ახალი სტაციონარული კინოდანადგარი, მაყურებელთა დარბაზს გაუკეთდა რეკონსტრუქცია. იგი ახლა 180-მდე ნორჩ მაყურებელს იტევს. აქ ყოველდღიურად ეწყობა ოთხი სეანსი — 11, 1, 3 და 5 საათზე.

მოზარდ მაყურებელთა კინოთეატრში უკვე მოეწყო საბავშვო კინოფილმების ფესტივალი, რომლის დროს უჩვენეს სურათები „ამხანაგის ღირსება“, „ზღვის მონადირე“, „12 თვე“, „თუმური და მისი რაზმი“, „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები“, „ორი კაპიტანი“ და სხვ., რომლებიც ათი ათასამდე ნორჩმა მაყურებელმა ნახა.

კლუბის გამგეობა სკოლებიდან წინასწარ იღებს თემატურ შეკვეთებს კინოფილმების კოლექტიური ჩვენებისათვის ისტორიის, ლიტერატურის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკურ საკითხებზე, რაც სკოლებს ესაჭიროებათ ამა თუ იმ საპროგრამო მასალის შესასწავლად.

მომდინარე თვეში ნორჩ მაყურებელს უჩვენებენ კინოფილმებს „ბებერა“, „ჭრიჭინა“, „პატარა მუკის ისტორია“, „ორსენა“, „ბაშიაჩუკი“, „ალბანეთის დიდი მეომარი სკანდერბეგი“, „აკაკის ალვანი“, ინდურ კინოფილმს „გაღვიძება“ და სხვ.

აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისადმი მიძღვნილი კინოჟურნალები



თბილისის კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადას მიუძღვნა ორი კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო“ № 3 და № 4 (რეჟისორი შ. ჩაგუნავა, ოპერატორები ო. დეკანოსიძე და ბ. კრეპსი, რედაქტორი გ. მონავარდიშვილი).

ჟურნალის პირველი კადრები. აი თბილისის ვაგზალი, სადაც დედაქალაქის საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეებს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი. აქ საზეიმო სხდომაზე დეკადის წარმომადგენლებს დედაქალაქის ხელოვნების მუშაკების სახელით მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე. სცენა ბათუმის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლიდან „ოიდიპოს მეფე“. ოიდიპოსის როლს ასრულებს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ი. კობალაძე.

თეატრის ფოიეში მოწყობილია აჭარაში მომუშავე მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა. მაყურებელი ეცნობა გამოფენის საუკეთესო ნაწარმოებებსა და მათს ავტორებს.

ეკრანზეა აჭარაში მომუშავე პოეტები ნ. გვარიშვილი, ფ. ხალვაში, მ. ვარშანიძე, ნ. მალაზონია, რომლებმაც დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე წაიკითხეს საკუთარი ლექსები. შემდეგ გადადებულია აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მიერ შესრულებული კონცერტი. მაყურებელი აღტაცებაში მოჰყავს ამ ანსამბლის მიერ შესრულებულ ცეკვებს „ხორუმსა“ და „განდაგანს“.

კინოჟურნალი № 4 იწყება თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართული აჭარის ხელოვნების მუშაკთა დასკვნითი კონცერტის ჩვენებით. ეკრანზეა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი ი. კალანდაძე, რომელიც ანსამბლთან ერთად ასრულებს სიმღერას თბილისზე. შემდეგ ნომრად ასრულებენ სიმღერას ბათუმზე. სიმღერის ჰანგებზე მოჩანს ბათუმის უმშვენიერესი პეიზაჟები... შავი ზღვის ტალღები ეხეთქება კლდოვან ნაპირებს, შორს ჰორიზონტზე მოჩანს გემი. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა. კვლავ ოპერისა და ბალეტის თეატრი. ეკრანზეა დეკადის მონაწილე პიონერი ნანა ხავთასი, რომელიც შესანიშნავად ასრულებს პოპულარულ სიმღერას „ინდონეზიას“.

ჟურნალის დასასრულს გადაღებულია ბათუმის მშრომელთა შეხვედრა აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეებთან.

აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის გადადებით თბილისის კინოსტუდიამ დიდი სამსახური გაუწია იმ მაყურებლებს, რომლებსაც საშუალება არა ჰქონდათ დასწრებოდნენ დეკადას.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათებზე: კადრები კინოჟურნალებიდან.

ახალი წიგნები

აჭარის ლიტერატურული ახალგაზრდობა. ალმანახი, სახელგამი, ბათუმი. 1956 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 97, ფასი 2 მან.

ს. არღუნელი — გიორგი დავითაშვილი. მონოგრაფია. გამომცემლობა „ხელოვნება“, თბილისი. 1956 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 56. ფასი 3 მან. 40 კაპ.

მ. ქვლივიძე — ლირიკა. სახელგამი, თბილისი. 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 157, ფასი 4 მან. 50 კაპ.

თ. ჯანგულაშვილი — „მაისი ოდერზე“. სახელგამი, თბილისი, 1956 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 71. ფასი 1 მან. 50 კაპ.

მოწინავეთა გამოცდილება—მასებს

მემანქანე ი. სამხარაძე

სანგრეევსა და ლავში მარგანეცის დატვირთვა ყველაზე მძიმე და შრომატევადი პროცესია, ამავე დროს ყველაზე „ვიწრო ადგილია“ ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში.

წინათ სანგრეევებში მარგანეცს ხელით ტვირთავდნენ. ბუნებრივია, ამ სამუშაოს შესრულებისას მუშას დიდი ენერგია ეხარჯებოდა, ხოლო ნაყოფიერება ნაკლები იყო. ახლა ამ სამუშაოს სპეციალური სატვირთავი მანქანები ასრულებენ. პირველ ხანებში სატვირთავ მანქანებს მაღაროელები ალმაცერად უყურებდნენ, მაგრამ მალე დარწმუნდნენ მათს უპირატესობაში და აითვისეს ისინი. ამჟამად მადნის სატვირთავ მანქანებს ფართოდ იყენებენ ლენინის, სტალინის და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში. მარგანეცის მექანიზებული დატვირთვა ფართოდ დაინერგა ლენინის სახელობის მაღაროში და სწორედ აქ გამოჩნდა სატვირთავი მანქანის სრულად გამოყენების პირველი ოსტატი—ირონდი სამხარაძე.

იგი ამჟამად 30 წლისაა. მაღაროში 1951 წელს მოვიდა. სატვირთავი მანქანა აინტერესებდა და მემანქანის დამხმარედ დაიწყო მუშაობა. მონდომებულმა და ბეჯითმა ჭაბუკმა მალე შეიცნო ახალი მექანიზმის მართვის საიდუმლოება, ყოველი მისი დეტალის დანიშნულება და გამონახა მისი რაციონალურად გამოყენების ხერხი.

ი. სამხარაძეს, როცა იგი საფუძვლიანად დაეუფლა მექანიზმს, საკუთრად ჩაბარეს მადნის სატვირთავი მანქანა და მაღაროს მეშვიდე უბანში ორისამი სანგრეევი მიუჩინეს. ნდობით წახალისებულმა სამხარაძემ უფრო გულიანად და ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. მართლაც ი. სამხარაძის გვარი მალე გამოჩნდა წითელ დაფაზე. საპატიო წიგნში, „ელვა“ ფურცლებზე მისმა საწარმოო მაჩვენებლებმა ყველას ყურადღება მიიქცია. მასზე ლაპარაკობდნენ შეკრებებზე, თათბირებზე, მაღაროებში.

ი. სამხარაძის წარმატების „საიდუმლოება“ საერთო კუთვნილებად იქცა. იგი პირველ რიგში, საუცხოოდ ფლობს მექანიზმს, იცის მისი ყოველი დეტალი. მანქანის უბრალო „ტკივილსაც“ კი მახვილი სმენით გამოიცნობს და მყისვე „განკურნავს“. მაგრამ ი. სამხარაძეს მანქანის „ტკივილები“ ხშირად როდი აწუხებს, რადგან თვალისჩინივით უვლის მას, დროულად ზეთავს, ნაწილებს წინასწარ უსინჯავს და, თუ საჭიროა, შეაკეთებს ხოლმე. ამიტომ არის, რომ მანქანა არ ლაპატობს დახელოვნებულ მემანქანეს.

ცვლაში გეგმით გათვალისწინებული 70 ტონის ნაცვლად ი. სამხარაძე თავისი მანქანით 115-120 ტონა მარგანეცს ტვირთავს ვაგონში.

ი. სამხარაძე სამუშაო დროს ანგარიშობს არა წუთობით, არამედ წამობით, მაქსიმალურად ამჟიდროებს დროს.

დაკვირვებამ და ი. სამხარაძის მუშაობის შესწავლამ ცხადყო, რომ ეს მემანქანე სხვებთან შედარებით ერთი ტონა მარგანეცის დატვირთვის დროს ამცირებს 25 პროცენტით, ვაგონის მიგორება-გაგორებას — 49 პროცენტით, სანგრეევიდან სანგრეევზე გადასვლის დროს — 17 პროცენტით. სულ ძირითად ოპერაციებზე საჭირო დროს იგი 32,5 პროცენტით ამჟიდროებს, ხოლო დამხმარე ოპერაციებზე — 9 პროცენტით. ამგვარად, სამუშაო დროის გონივრული და შემჟიდროებული გამოყენებით ი. სამხარაძე ზრდის მანქანის წარმადობას, აღწევს მაღალ გამომუშავებას.

შეუფერხებელი და უსაშიშრო მუშაობისათვის მას სანგრეევში ყოველთვის აქვს წერაქვი და ნიჩაბი, რითაც წესრიგზე მოჰყავს სანგრეევი, წმენდს გზას, ამტვრევს მარგანეცის დიდ ლოდებს.

ამხ. ი. სამხარაძე თანდათან სრულყოფს მუშაობის მეთოდს; აუმჯობესებს ოსტატობას და ამავე დროს ამხანაგებს უზიარებს თავის გამოცდილებას. მარგანეცის სატვირთავი მანქანის მემანქანეები გ. ცარციძე, ს. შველიძე, ა. ჩაჩანიძე, ი. მუმლაძე, ა. დეკანოიძე და სხვები უკვე გაეცნენ ამხ. სამხარაძის მუშაობის მეთოდს, და ახლა ეს ახალგაზრდები თავიანთ მასწავლებელს როდი ჩამორჩებიან.

პ. ჭიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 8 მარტი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ა. ა. სობოლევის თავმჯდომარეობით გაიმართა უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელმაც განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად აფრიკის ახალი სახელმწიფოს — განის მიღების საკითხი.

საბჭოს სხდომა მოწვეულ იქნა იმის გამო, რომ განის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა კუამე ნკრუმამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნა წერილი, რომელიც შეიცავდა თხოვნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განის სახელმწიფოს მიღების შესახებ.

უშიშროების საბჭოს ყველა წევრმა მხარი დაუჭირა განის სახელმწიფოს მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

გამოვიდა რა როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი, ა. ა. სობოლევმა განის ხალხს მიულოცა ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება. განის სახელმწიფოს შექმნა, თქვა მან, კიდევ ერთი ნაბიჯია წინ აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში. ა. ა. სობოლევმა გამოთქვა რწმენა, რომ განის სახელმწიფოს მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში ხელს შეუწყობს ამოცანების განხორციელებას განის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და ყოველმხრივი განვითარების საქმეში, აგრეთვე ახალგაზრდა სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებისა და განვითარებას.

იმის გამო, რომ უშიშროების საბჭოს ზოგიერთმა წევრმა თავის გამოსვლაში აღძრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სხვა სახელმწიფოთა მიღების საკითხი, სსრ კავშირის დელეგატმა სხდომას მოაგონა, რომ უშიშროების საბჭოს განსახილველად უკვე დიდი ხანი არის მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მისი მიღების შესახებ. ეს სახელმწიფო, ხაზგასმით აღნიშნა ა. ა. სობოლევმა, მთლიანად აკმაყოფილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს ახალი წევრების მიმართ და უფლება აქვს იქონიოს იმედი, რომ უახლოეს დროში უშიშროების საბჭო მიიღებს დადებით გადაწყვეტილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მიღების შესახებ.

უშიშროების საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება ურჩიოს გენერალურ ასამბლეას მიიღოს განის სახელმწიფო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად.

ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 8 მარტი. (საკდესი). მორიგ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ამტკიცებდა, რომ ისრაელის გადაწყვეტილების შემდეგ, გაიყვანოს ჯარები ეგვიპტის ტერიტორიიდან, მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში, როგორც ჩანს, შემსუბუქდა. მაგრამ, თქვა მან, ამ საკითხში რჩება კიდევ „დეტალები“, რომლებიც უნდა მოწესრიგდეს. ამ „დეტალების“ რიცხვს პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, როგორც ჩანს, მიაკუთვნებს აგრეთვე ტირანის სრუტის „ინტერნაციონალიზაციას“, რაც არღვევს ეგვიპტის სუვერენულ უფლებებს. მან განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ეს სრუტე „ინტერნაციონალიზებულ“ უნდა იქნას, თუ საერთაშორისო სასამართლო ამ საკითხში საწინააღმდეგო პოზიციას არ დაიკავებს.

ეიზენჰაუერმა ორპოფული პასუხი გასცა კითხვაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოქმედების შესახებ, რომელიც ამერიკელ კორესპონდენტებს უკრძალავს ჩინეთში გამგზავრებას, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინააღმდეგი არიან რამე კულტურული კავშირისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

კორესპონდენტებმა ეიზენჰაუერის ყურადღება მიაპყრეს მთავრობის მთელ რიგ წარმომადგენელთა, მათ შორის ფინანსთა მინისტრის ჰემფრისა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წევრების განცხადებებს, რომ ინფლაციის საფრთხესთან დაკავშირებით საჭიროა შემცირდეს ამერიკის შეერთებული შტატების ბიუჯეტი, რომელიც, როგორც ცნობილია, უზომოდ არის გაბერილი სამხედრო ასიგნობებით. შეეხო რა ჰემფრის წინადადებას ხარჯების შემცირების შესახებ, პრეზიდენტმა კატეგორიულად გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ შემცირდეს ასიგნობანი ეგრეთწოდებული „უშიშროების ურთიერთ უზრუნველყოფის“ პროგრამის განსახორციელებლად, ესე იგი ასიგნობანი გამალებული შეიარაღებისათვის.

ოლენჰაუერის გამოსვლა რადიოთი

ბონი, 7 მარტი. (საკდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა გუშინ საღამოს სიტყვა წარმოთქვა სამხრეთ გერმანიის რადიოთი.

შეეხო რა კანცლერ ადენაუერის სპასუხო წერილს ნ. ა. ბულგანინისადმი, ოლენჰაუერმა აღნიშნა, რომ ადენაუერის წერილში „არაფერი ახალი არ არის ნათქვამი“ ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიც არის ევროპის უშიშროება და გერმანიის გაერთიანება. მას შემდეგ, თქვა ოლენჰაუერმა, რაც ფედერალური მთავრობა 7 წლის განმავლობაში ახორციელებდა ნატოს პოლიტიკას, რომელმაც ერთი ნაბიჯითაც არ მოგვიახლოვა გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაჭრა, ადენაუერის მითითება ნატოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მონაწილეობაზე როგორც რეალურ ფაქტზე არ წარმოადგენს დამაკმაყოფილებელ პასუხს. ჩვენ არ შეგვიძლია მოვიწონოთ ასეთი „რეალური პოლიტიკა“, რადგან მას ფაქტიურად მოჰყვა ის, რომ გერმანიის გათიშვა დღემდე არ არის დაძლეული, არამედ, პირიქით, წლითიწლობით ღრმავდება. გერმანიის პრობლემის გადაჭრის ერთადერთი შესაძლო გზა, თქვა ოლენჰაუერმა, არის ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა.

ოლენჰაუერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სავაჭრო ურთიერთობის ნორმალიზაცია საბჭოთა კავშირთან და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებთან.

მთავარი, ოლენჰაუერის აზრით, ახლა არის ის, რომ გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ თვითონ წამოაყენოს ახალი წინადადებანი გერმანიის გაერთიანებისა და ევროპის უშიშროების სისტემის საკითხზე.

ოლენჰაუერის სიტყვით, ამერიკის შეერთებულ შტატებში მისი მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი იყო განემარტა ამერიკელებისათვის, რომ ნამდვილი მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში შეუძლებელია მანამდე, სანამ გერმანია გაყოფილია.

„მხურვალე მილოცვა საბჭოთა დეპისადმი“

პეკინი, 7 მარტი. (საკდესი). ჩინელი ქალები სასახელო წარმატებებით ხვდებიან ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს. სრულიად ჩინეთის ქალთა დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ ამბ. ცაი ჩანმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

8 მარტის დღესთან დაკავშირებით უწინარეს ყოვლისა მსურს მხურვალე მილოცვა გადავცე საბჭოთა დეპს. ოთხი ათეული წელიწადია, რაც საბჭოთა ქალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას—კაცობრიობის საუკეთესო ოცნებას.

ჩინელი ქალები, თქვა ცაი ჩანმა, ამავე გზით მიდიან. შარშან ჩვენმა ქალებმა, ჩვენმა ხალხმა ძირითადად დაამთავრეს სოციალისტური რევოლუცია — სოციალიზმის აშენების საქმეში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. 1956 წელს მუშა ქალების რიცხვი სახელმწიფო საწარმოებში, აგრეთვე სამეურნეო, კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაახლოებით 3 მილიონი იყო, რაც ექვსჯერ და მეტად აღემატება იმას, რაც რესპუბლიკის შექმნის პირველ ხანებში იყო. ეს მილიონზე მეტი ქალი მუშაობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში, მილიონნახევარი — შინამრეწველობის კოოპერატივებში. ქალები დიდ დახმარებას უწევენ სახელმწიფო მშენებლობას. 99 ათასი ქალი წარმოების მოწინავეა.

ჩინელი ქალები, თქვა შემდეგ ცაი ჩანმა, გაბედულად ეუფლებიან კულტურას, მეცნიერებასა და ტექნიკას. 1956 წელს იმათ შორის, ვინც თავის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე მუშაობდა, 43 პროცენტს ქალები შეადგენდნენ. ბევრი ქალი — მედიცინისა და სანიტარიის, განათლების, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების მუშაკები თავიანთ ძალებს ახმარენ ხალხის კეთილდღეობას. იმათ შორის, ვინც 1956 წელს ჩინეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემიების ღირსი გახდა, ოთხი მეცნიერი ქალია. ასეთი პატივი წინათ არც ერთ ჩინელ ქალს არ ღირსებია.

ჩინელი ქალები, თქვა დასასრულ ცაი ჩანმა, სულით და გულით უძღვნიან მადლობას საბჭოთა ხალხს ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში მისი უდიდესი დახმარებისათვის, გულწრფელად სცემენ პატივს საბჭოთა ქალებს ქალთა განთავისუფლების გზაზე მათი მაგალითისათვის. ჩვენ, ჩინელი ქალები, სიხარულით ვადევნებთ თვალყურს ყველა სოციალისტური მოძმე ქვეყნის ქალთა წარმატებებს, აზიისა და აფრიკის ქვეყნების ქალთა წარმატებებს მათს ბრძოლაში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ყველა ქვეყნის ქალთა წარმატებებს მშვიდობისათვის ბრძოლაში. ეს მიღწევები გვახარებენ და აღგვაფრთოვანებენ, და იმედი გვაქვს, რომ ყველა ქვეყნის ქალები უფრო მეტ წარმატებას მოიპოვებენ.

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). გუშინ თემთა პალატაში შეიტანეს შეკითხვები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მომავალი სესიის შესახებ, რომელიც ლონდონში გაიმართება.

პარლამენტის წევრმა ლეიბორისტმა უორბიმ შეიტანა შეკითხვა, აპირებს თუ არა საგარეო საქმეთა მინისტრი წარუდგინოს ქვეკომიტეტს მოლაპარაკების დაწყებისას განიარაღების კონვენციის პროექტი, რომელიც მოიცავს განიარაღების, ინსპექციისა და კონტროლის ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც გამოხატავენ მთავარი სახელმწიფოების საერთო აზრს ამ საკითხებზე. საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოიდმა უპასუხა, რომ იგი არ აპირებს ამას ქვეკომიტეტის მუშაობის დაწყებისას, რადგან, მისი აზრით, ამჟამად არ არსებობს საკმაო საერთო თანხმობა განიარაღების საკითხში.

უორბიმ აღნიშნა, რომ იმათ, ვინც სწავლობდა წინანდელი სესიების მასალებს, მიაჩნიათ, რომ შეთანხმება შესაძლებელი უნდა იყოს ახლა.

ლეიბორისტმა ენიურინ ბევანმა იკითხა, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი მოლაპარაკების დაწყება გარკვეული განცხადებით იმის შესახებ, თუ როგორია საერთო ბაზა. ამის პასუხად ლოიდმა განაცხადა, რომ ეთანხმება ამას, მაგრამ არ შეუძლია ამ ეტაპზე გამოვიდეს კონვენციის პროექტით.

ლეიბორისტი ფენერ ბროკუეი შეეკითხა საგარეო საქმეთა მინისტრს, რა გადაწყვეტილებები და ღონისძიებებია მიღებული იმ წინადადებების მიმართ ახლო აღმოსავლეთის შესახებ, რომლებსაც შეიცავს საბჭოთა კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის ნოტები. ლოიდმა უპასუხა, რომ მთავრობას ამჟამად არ შეუძლია რაიმე დაუმატოს წინანდელ პასუხს ამ საკითხზე.

უპასუხა რა ლეიბორისტების სხვა კითხვებზე, სელვინ ლოიდმა განაცხადა, რომ, ინგლისის მთავრობის აზრით, „ყბადაღებული „სამმხრივი დეკლარაცია“ (ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის 1950 წლის დეკლარაცია, რომელიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებდა დასავლეთის ამ სამი სახელმწიფოს ჩარევას არაბთა ქვეყნების საქმეებში) ძალაში რჩება. შემდეგ ლოიდმა დაადასტურა, რომ ინგლისის მთავრობა კეთილმოსურნეობით ეკიდება „ეიზენჰაუერის დოქტრინას“, რომელიც აგრეთვე მიმართულია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

ლეიბორისტული ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამოთქვეს შიში, რომ, მხარს უჭერს რა „ეიზენჰაუერის დოქტრინით“ დასახულ პოლიტიკას, ინგლისი შეიძლება აღმოჩნდეს „შებოჭილი ამერიკის გადაწყვეტილებებით“ და ჩაბმული ახლო აღმოსავლეთის ომში. სელვინ ლოიდი ცდილობდა ინგლისის მთავრობის პოზიცია გაემართლებინა იმით, რომ იმოწმებდა ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების „თანამშრომლობას“ მითიური „კომუნისტური აგრესიის“ თავიდან აცილებისათვის.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 6 მარტი. (საკდესი). რამდენიმე დღეა, რაც ეროვნულ კრებაში მიმდინარეობს განხილვა მთავრობის პოლიტიკისა სოფლის მეურნეობის დარგში.

მაშინ როდესაც მემარჯვენე პარტიების დეპუტატები ცდილობენ მთავრობისაგან მიიღონ ახალი შეღავათები სოფლის მსხვილ მეურნეთათვის, კომუნისტი დეპუტატები გამოდიან მშრომელი გლეხობის ინტერესების დასაცავად.

კამათის მსვლელობაში, კერძოდ, აღიძრა საკითხი რძის ფასების შესახებ. მთავრობა კატეგორიულად წინააღმდეგია იმისა, რომ რძის შემსყიდველები მეტს იხდიდნენ რძეში, რომელსაც გლეხებისაგან ყიდულობენ, რასაც მოითხოვდა ზოგიერთი დეპუტატი. კომუნისტური ჯგუფის წარმომადგენლებმა წამოაყენეს მოთხოვნა გადიდდეს შესასყიდი ფასები და შენარჩუნებულ იქნას ახლანდელი საცალო ფასები, იცავდნენ რა ამით როგორც რძის წვრილ მწარმოებელთა ინტერესებს, ისე მომხმარებელთა ინტერესებსაც. ისინი აღნიშნავდნენ, რომ მთავრობამ უნდა მიიღოს ღონისძიებანი იმისათვის, რომ დამატებით დაბეგროს მონოპოლისტური გაერთიანებანი, რომლებიც დიდ მოგებას იღებენ რძის საბითუმო ვაჭრობით.

კომუნისტმა დეპუტატმა ვალდეკ როშემ თავის გამოსვლაში საფრანგეთის სოფლის მეურნეობის საკითხზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გადაუდებელ ღონისძიებათა მიღება მშრომელი გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ორატორმა განაცხადა, რომ სოფლის მეურნეობის მუშათა შრომის ანაზღაურება მეტად დაბალია.

ვალდეკ როშემ აღნიშნა, რომ საფრანგეთის სოფლის მეურნეობაში გრძელდება წარმოების კონცენტრაციის პროცესი. მან მოაგონა დამსწრეთ, რომ 40 ათასი მსხვილი მეურნეობა აწარმოებს იმდენსავე სასაქონლო მარცვლეულს, რამდენსაც 1.200 ათასი წვრილი გლეხური მეურნეობა. მეღვინეობის 20 ათასი მსხვილი მეურნეობა აწარმოებს იმდენსავე ღვინოს, რამდენსაც 1.400 ათასი წვრილი მეღვინე. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში საფრანგეთში გაქრა 300 ათასი წვრილი გლეხური მეურნეობა, რომლებიც გაჩანაგდნენ კონკურენციის შედეგად.

ვალდეკ როშემ მოითხოვა, რომ მთავრობა დაეხმაროს წვრილ და საშუალო გლეხურ მეურნეობებს, კერძოდ შეამციროს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის, სასუქისა და საწვავის ფასები, მისცეს ამ მეურნეობებს კრედიტები შეღავათიან პირობებში და სხვ.

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). ეროვნულ კრებაში დამთავრდა კამათი სოფლის მეურნეობის დარგში მთავრობის პოლიტიკის შესახებ. მთავრობის მომხრე უმრავლესობამ (ძირითადად სოციალისტები, რადიკალები და „სოციალური რესპუბლიკელები“) მემარჯვენე ჯგუფების — „დამოუკიდებელი რესპუბლიკელების“ და „ხალხო-რესპუბლიკური მოძრაობის“ (მრპ) წევრების — დახმარებით გადაწყვიტა „ცნობად მიიღოს“ მთავრობის განცხადება სოფლის მეურნეობის საკითხებზე. ეს გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ხანგრძლივმა კამათმა პარლამენტში ვერ გამოიწვია პრაქტიკულ ღონისძიებათა მიღება ფრანგი გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამერიკის შეერთებული შტატების გეგმები გამოიყენონ დასავლეთი გერმანია თავიანთი ინტერესებისათვის

ფონ ბრენტანოსთან დალესის მოლაპარაკების გამო

ვაშინგტონი, 6 მარტი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა კომუნიკე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ფონ ბრენტანოსთან სახელმწიფო მდივნის დალესის მოლაპარაკების შედეგების შესახებ. კომუნიკე ცხადყოფს, რომ მოლაპარაკების დროს ძირითადი ყურადღება მიექცა აგრესიული ჩრდილოეთ ატლანტიკის დაჯგუფების — ეგრეთწოდებული ნატოს — გაძლიერებას და იქ დასავლეთ გერმანიის სამხედრო ძალების როლის გაძლიერებას. „ნატოს ძალების შენარჩუნება, — ნათქვამია კომუნიკეში, — კვლავ ისეთსავე დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც ყოველთვის“. კომუნიკეში ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით არის აღნიშნული „გერმანიის ფედერაციული მთავრობის მტკიცე გადაწყვეტილება რაც შეიძლება მალე შეუდგეს თავისი სამხედრო ძლიერების განმტკიცებას, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს თავისი შეთანხმებული წვლილი შეიტანოს“ ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო დაჯგუფებაში.

კომუნიკე შეიცავს მტკიცებას, რომ „ორივე მთავრობის პოლიტიკის ძირითადი მიზანია „გერმანიის გაერთიანება“, თუმცა კომუნიკეში გამოცხადებული პროგრამა დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა და ნატოში მისი როლის გაფართოებისა ხელს უშლის გერმანიის გაერთიანებას.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ მოლაპარაკების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა „საერთო ევროპული ბაზრის შექმნის და ევროპის ორგანიზაციის შექმნის გეგმებს, ორგანიზაციისა, რომელსაც საერთო უფლებები და საერთო პასუხისმგებლობა ექნება ატომის ენერგიის დარგში („ევრატომი“)“. „მცირე ევროპის“ იდეის რაც შეიძლება მალე მოწონება და განხორციელება, ნათქვამია კომუნიკეში, „არსებითად შეუწყობს ხელს მჭიდრო ურთიერთობის გაძლიერებას ევროპასა და შეერთებულ შტატებს შორის“.

კომუნიკეში განსაკუთრებით არის აღნიშნული, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკების მსვლელობაში განიხილეს ახლო აღმოსავლეთის პრობლემები.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში მიაჩნიათ, რომ ბრენტანოს ვიზიტმა ვაშინგტონში, რაც მოჰყვა უშუალოდ იქ საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მოლეს ყოფნას, ცხადყო ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვა გააძლიერონ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების გამოყენება დასავლეთ ევროპაში ამერიკის ანგარებითი პოლიტიკის განხორციელებაში.

მ. ბოტვინიკი — ვ. სმისლოვი

7 მარტს მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონის მ. ბოტვინიკისა და ამ წოდების პრეტენდენტის გროსმაისტერ ვ. სმისლოვის მატჩის მეორე პარტია.

როგორც ვიუწყებოდით, პირველი პარტია დამთავრდა ვ. სმისლოვის გამარჯვებით. ამჯერად ვ. სმისლოვი თამაშობდა თეთრებით. შეხვედრა ხასიათდებოდა საინტერესო ბრძოლით. საკონტროლო დროის ამოწურვის შემდეგ პარტია გადაიდო. ვ. სმისლოვს მცირე პოზიციური უპირატესობა აქვს.

ი. სააკიანი საქართველოს ჩემპიონია შაშში

ამას წინათ დამთავრდა საქართველოს პირველობა შაშში. პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს თბილისელმა პირველთანრიგოსნებმა ი. სააკიანმა და ს. პახლაჯიანმა, რომლებმაც ქულების თანაბარი რაოდენობა მოაგროვეს. რესპუბლიკის ჩემპიონის გამოსავლინებლად მათ შორის მოეწყო დამატებითი მატჩი.

ახალგაზრდა მოშაშემ ი. სააკიანმა მოიგო მატჩი ანგარიშით 5:4 და ამრიგად მოიპოვა შაშში საქართველოს 1957 წლის ჩემპიონის წოდება. (საქდესი).

მოწინავე მონადირეები

1 მარტს რესპუბლიკაში დამთავრდა ბეწვეულის დამზადების ზამთრის სეზონი. წელს ხელსაყრელი ზამთარი იყო ნადირობისათვის, რის შედეგად დამზადებულია მეტი ბეწვი, ვიდრე გასულ წელს.

ჩვენი მონადირეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ბეწვეულის ნედლეულის მოპოვების სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. ამბროლაურის, ორჯონიკიძის, ხაშურის, ონის, ლაგოდეხის, ლენტეხის, ბორჯომის, ჩოხატაურის, თელავის, საჩხერის, ფოთისა და სხვა რაიონების მონადირეებმა ვადაზე ადრე შეასრულეს ბეწვეულის დამზადების სახელმწიფო გეგმა.

კარგად ინადირეს ზამთრის სეზონში მოწინავე მონადირეებმა ვ. გიუნაშვილმა, ვ. დავითაშვილმა (ყვარლის რაიონი), ს. ბაქსაშვილმა, ვ. შარაშიძემ (ორჯონიკიძის რაიონი), ა. კაზაკოვმა (ბოგდანოვკის რაიონი), ე. თოლორდავამ (ჩხოროწყუს რაიონი), ს. კალაშნიკოვმა (გაგრის რაიონი), ჩ. ლოლუამ (მაიაკოვსკის რაიონი), ნ. ხოჯიევმა, გ. კონსტანტინოვმა (ლენინის რაიონი), გ. სურგულაძემ, ს. ჭანუყვაძემ, შ. ყაზაშვილმა (ზახარაძის რაიონი) და სხვ.

დამაბრიდებელი ორგანიზაციები ზრუნავენ აგრეთვე ბეწვეულის სარეწო რესურსების გადიდებისათვის. ამ მიზნით, მაგალითად, წელს გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოს წყალსაცავებში 200 სული ძვირფასბეწვიანი ცხოველის — ნუტრიის მოშენება. ნუტრიები მიეყიდება აგრეთვე კოლმეურნეებს და სხვა პირებს ინდივიდუალური გაშენებისათვის.

მონადირეთმცოდნე ბ. ავაქოვი.

სურათზე: მოწინავე მონადირე ე. თოლორდავა (ჩხოროწყუს რაიონი) მის მიერ დაჭოცილი ნადირის ტყავებით.

ტელეგადაცემათა პროგრამა
9 მარტისათვის

20.00 — ბავშვებისათვის—პანტელეევის მოთხრობის „პატიოსანი სიტყვის“ სატელევიზიო დადგმა (ნორჩ მაყურებელთა თხოვნით), 20.15 — კინოჟურნალი „მშენებლების ახალი ამბები“, 20.25 — მხატვრული ფილმი „რუმიანცევის საქმე“.

დღეს
თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი, რუსთაველის სახელობის — ოიდიპოს მეფე, მარჯანიშვილის სახელობის — მეფე ერეკლე, გრიბოედოვის სახელობის — ხეები ზეზეულად კვდებიან, სომხური დრამის — მიცვალებულის აღდგომა, მუსიკალური კომედიის — რაც განახავს, ვეღარ ნახავ, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ოქროს კავკაჩრიანები (აბონემენტი № 12, 5 ს.), მოზარდ მაყურებელთა რუსული — განძთა კუნძული (6 ს.), თოჯინების ქართული — ნუკრი (11 ს.), თოვლის პაპა (2 ს.), ფილარმონია — სომხეთის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (საზამთრო თეატრი, 9 ს.), საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის კონცერტი (კონსერვატორიის დიდი დარბაზი, 9 ს.).

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი

(კომკავშირის ხეივანი № 11)

მუზეუმის რემონტისა და რეექსპოზიციის გამო ა. წ. 1 მარტიდან დახურულია მნახველთათვის.

მუზეუმის დირექცია.

გაზაფხული გათუმში

ბათუმის პიონერთა პარკის ტბაზე.

ფოტო ნ. ანასტასიევისა.

ისედაც ლამაზ ქალაქ ბათუმს კიდევ უფრო ამშვენებს და ამკობს გაზაფხული, რომელიც შედარებით სუსხიანი ზამთრის შემდეგ ნაადრევად ესტუმრა შავი ზღვის სანაპიროებს. ქალაქში უკვე ჰყვავის მაგნოლია, კამელია, იაპონური კომში, სპირეა, მიმოზა, ატამი, ტყემალი და სხვა მცენარეები, ვარდი, ყვავილოვანი ბუჩქები. გაზაფხულის ნაირფერი ყვავილები სურნელებას ჰფენს მთელ ქალაქს.

სრული დატვირთვით მუშაობს ბათუმის „მწვანე ფაბრიკა“. ასე უწოდებენ ბათუმელები ქალაქის საბჭოს გამწვანების ტრესტის დაწესებულებებს. მის ორანჟერიებსა, სანერგეებსა და ბაღებში ახლა გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული, რათა შეუფერხებლად მოამარაგონ მწვანე ნარგავებით და ყვავილოვანი ბუჩქებით მშობლიური ქალაქი, მისი მრავალრიცხოვანი საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები. და განა მარტო ბათუმს ამარაგებს იგი? ტრესტი ყოველწლიურად მილიონობით დეკორაციული მცენარეებისა და ვარდ-ყვავილების ნერგებსა და თესლს აწვდის საქართველოს და მთელი ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს მრავალ ქალაქსა და სამრეწველო ცენტრს, სამეცნიერო-საკვლევ ორგანიზაციებს და სხვ. ჯერ კიდევ თებერვალში კუორორტ ალუშტას (ყირიმის სანაპირო) მისამართით გაიგზავნა 54 ათასი მანეთის ნერგი. დიდძალი ნერგი წაიღეს აგრეთვე ოდესაში, სევასტოპოლში, თბილისში, სამტრედიაში და სხვა ქალაქებში. მარტო სევასტოპოლში წელს გაიგზავნება 100 ათასი მანეთის ნერგი, ზაპოროჟიეში — 60 ათასი მანეთისა და ა. შ.

ბათუმის გაზონებზე ჰყვავის დეკორაციული კომში.

დიდი მუშაობა წარმოებს ბათუმის სკოლების, სასწავლებლების, პედაგოგიური ინსტიტუტის, საწარმოებისა და საცხოვრებელი სახლების ეზოების შემდგომი გამწვანებისა და კეთილმოწყობისათვის. 200 მეტრით გაიზრდება წელს სტალინის სახელობის ზღვისპირა პარკის ხეივნის სიგრძე. ქალაქის ბაღებსა და სკვერებში, აგრეთვე ქუჩებში მიმდინარეობს მწვანე სამოსელის რემონტი, გაზონებში შეაქვთ ნოყიერი ნიადაგი და სასუქები, რგავენ დეკორაციულ მცენარეებს, ბუჩქებსა და ყვავილებს. (საკ. კორ.).

ქალთა VII სპარტაკიადა

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ქალთა VII სპარტაკიადა. შეჯიბრება მიძღვნილია ქალთა საერთაშორისო დღისადმი.

სტადიონზე მოეწყო სპორტსმენ ქალთა პარადი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო უმაღლესი სასწავლებლებისა და საწარმო-დაწესებულებების ასობით სპორტსმენმა.

სპარტაკიადის ოფიციალურ გახსნამდე მიმდინარეობდა შეჯიბრება ჯალათბურთში, რომელიც 10 მარტამდე გაგრძელდება. გუშინ დაიწყო შეხვედრები მძლეოსნობაში, სროლაში, ჭადრაკში. სპარტაკიადა მარტის მეორე ნახევრამდე გაგრძელდება.

დიდი მოგება

საჩხერე. (საკ. კორ.). ამ დღეებში საჩხერის რაიონის შემნახველ სალაროში სოფელ საირხის სკოლის მასწავლებელმა ა. გულიაშვილმა წარადგინა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეორე სახელმწიფო სესხის ასმანეთიანი ობლიგაცია, რომელსაც ხვდა 50.000 მანეთი მოგება.

ტრამვაის ახალი მარშრუტები

თბილისის მოსახლეობის ელექტროტრანსპორტით უკეთ მომსახურების მიზნით ტრამვაიტროლეიბუსის სამმართველომ 8 მარტიდან ნაწილობრივ შეცვალა ტრამვაის მოძრაობა ლენინის რაიონში.

ამ მიზნით მაგნიტოგორსკის ქუჩისა და ავჭალის გზატკეცილების შესაყართან დამონტაჟებულია ტრამვაის ახალი ხაზი. ახალი დამაკავშირებელი ხაზის საშუალებით ტრამვაის მარშრუტი № 3, რომელიც ადრე წრიული იყო, აბასთუმნის ქუჩიდან ბრძოლის ქუჩისა და მაგნიტოგორსკის ქუჩის გავლით სტალინის რაიონს დუუკავშირებს შამპანკომბინატს და უკან დაბრუნდება.

მთლიანად გაუქმდა ტრამვაის მარშრუტები № 4 და № 12, რომელთაგან პირველი წრიული იყო, ხოლო მეორე ლენინის რაიონს უკავშირებდა კოლმეურნეობის მოედანს.

აღდგენილ იქნა ტრამვაის მარშრუტი № 6, რომელიც ივლის რკინიგზის სადგურის მოედნიდან საბჭოსა და მაგნიტოგორსკის ქუჩების გავლით მაუდის ფაბრიკამდე და იმავე ქუჩებით უკან დაბრუნდება.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

მეუღლე ონოფრე, ძმა ნიკოლოზ, რძალი ლიდა, და მარო ოჯახებით იუწყებიან
ვერა გიორგის ასულ გოგატიშვილი-ომანიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-III, 8 ს. გამოსვენება 10-III, 2 ს. პლეხანოვის პროსპ. № 193.

შვილები მეგი, ტასო, სოსო, მერი, ზინაიდა, თამარ წერეთლები, სიძეები შ. ვაშაძე, ნ. აბაშიძე, გ. კონტრიძე ოჯახებით იუწყებიან
ნუცა დავითის ასულ წერეთლის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-III, 8 ს. გამოსვენება 10-III, 3 ს. კლდიაშვილის ქ. № 5.

მშობლები ელენე, გიორგი, მეუღლე ციცინო, შვილი რეზო, დები ლიზა, ქეთო, სიძეები აბრამ, რეზო ოჯახებით და ნათესავებით იუწყებიან
მიხეილ გიორგის-ძე კორკოტაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-III, 3 ს. სოფელ კარდანახში (გურჯაანის რ.).

მეუღლე გიორგი, შვილები ნინო, ალექსანდრე, რძალი ნატალია ოჯახით იუწყებიან
მატრონა დავითის ასულ ბურძენიძე-ყურულის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-III, 8 ს. გამოსვენება 10-III, 3 ს. გორის ქ. № 7.

შვილი მარიამ ფურცელაძე, და ოღლა სულხანშვილი, თ. და ი. მაჭავარიანები, შ. საფარიშვილი იუწყებიან
ნინო მიხეილის ასულ მაჭავარიანის
გარდ